ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 30 ივლისი, 2018 №178 (7723) ფასი: 60 თეთრი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჰამბურგში გერმანიის ღია პირველობა მოიგო

გვ.12

„ივანიშვილი შეგუებულია, რომ მიდის“

გვ.3

აკაკი ასათიანი: „მთელი მისი ინტერვიუ თავისმართლება იყო“

დავით ჭიჭინაძეს საპარლამენტო უმრავლესობიდანაც რიცხავენ

გვ.2

გაიზიარებენ თუ არა მის ბედს აკაკი ზოიძე და ლევან კობერიძე

ბექან ნათელაშვილი: „მაფიოზებმა გადაწყვიტეს, პატრიარქის ტახტი ხელში ჩაიგდონ“

გვ.2

სამართალი

გვ.7

თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძეს გაუპატიურებისა და კიდევ 6 ახალი ბრალი წაუყენეს



საბერძნეთში ქართველი ჩემპიონი შმაგი სონიშვილი, იგივე ტარიელ ზინდირიდისი, დააკავეს

ავღანეთში 4 ქართველი ჯარისკაცის წინააღმდეგ ამერიკულმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო

ეკონომიკა

გვ.5

ბიძინა ივანიშვილის ცრუ განცხადება

გვ.6

გვ.5

რა ხდება და რა შეიცვლება „აწარმოე საქართველოში“

რა ცვლილებები იგეგმება „საქართველოს რკინიგზის“ მართვის სისტემაში?

ISSN 1987-9385

5 საქართველო რეგიონში აშშ-ის მთავარი საყრდენი ხდება?

3 რამაზ საყვარელიძე: „ალეკო ელისაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებზე შანსები ექნება“

4 რა დარღვევები უპოვა აუდიტმა აფხაზეთის მთავრობას

8 რობერტ კოჩარიანი დააპატიმრეს

„მაფიოზებმა გადაწყვიტეს, პატრიარქის ტახტი ხელში ჩაიგდონ“

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქოს გარშემო სკანდალები არ ცხრება. გასულ კვირას მეუფე გრიგოლმა განაცხადა, რომ საერო პირებმა პატრიარქს გადადგომა ურჩიეს.

„ახალ თაობასთან“ საუბარში ანალიტიკოსმა გოჩა მირცხულავამ განაცხადა, რომ ილია II-თან ამ მკრეხელური წინადადებით ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი მივიდა.

ცნობილი ხდება, რომ პატრიარქს გადადგომისკენ შორენა თეთრუაშვილი და გიორგი ანდრიაძეც მოუწოდებდნენ. ეს უკანასკნელი ამ თემაზე საგაზეთო ინტერვიუებშიც საუბრობდა. რამდენიმე თვის წინ გიორგი ანდრიაძემ განაცხადა, რომ ბრძნული გადაწყვეტილება იქნება, თუ ახალ პატრიარქს ილია II-ის სიცოცხლეშივე ავირჩევთ.

პატრიარქს მას შემდეგ სთხოვეს და ურჩიეს გადადგომა, რაც მან მოსაყდრე გამოარჩია. მოსაყდრისა და გადადგომის თემაზე სკანდალი ალბათ გაგრძელდება, თუ ის ციანიდის თემით არ გადაიფარა.

გასულ კვირას, 25 ივლისს, მეუფე გრიგორმა მატროსოვის ციხეში დეკანოზი გიორგი მამალაძე მოინახულა და მისგან ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები გაიგო. დეკანოზის მიერ მიწოდებული ინფორმაციები ისეთი მძიმეა, რომ ეპისკოპოსი მათზე საუბარს მხოლოდ წმინდა სინოდის სხდომაზე აპირებს.

საპატრიარქოში მიმდინარე პროცესები საზოგადოებაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. შეშფოთებულები არიან ლეიბორისტულ პარტიაშიც, ამასთან, მიაჩნიათ, რომ რაც საპატრიარქოსთან დაკავშირებით ხდება, ეს თავად საპატრიარქოს ბრალია.

სად დაუშვა საპატრიარქომ შეცდომა, რა გეგმა შეიმუშავა გავლენიანი ბიზნესმენების ნაწილმა, სად არის გამოსავალი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

ბეჟან ნათელაშვილი:

– საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებით მთელი საქართველოა შეშფოთებული. კაცი, რომელიც ხალხის ანაბრების მოპარვით არის ცნობილი და ახლა დიდი ფულის პატრონია, მიდის პატრიარქთან და გაუგონარ მკრეხელობას ჩადის – ის ილია II-ს გადადგომისკენ მოუწოდებს.

ყოვლად აუტანელია, როცა ვანო ჩხარტიშვილის მსგავსი უწმინდურები უწმინდესს მსგავს საუბარს უბედავენ, მაგრამ, ისიც ვაღიაროთ, რომ ეს საპატრიარქოს ბრალია.

– რა არის საპატრიარქოს ბრალი?

– საპატრიარქოს ბრალი ის არის, რომ ქურდები და მტაცებლები პატრიარქთან შესვლასა და მისთვის „გადადექის“ თქმას ბედავენ.

– საპატრიარქოს ბრალეულობა რით გამოიხატება?

– იმით, რომ ხალხისა და ბიუჯეტის ფულების დამტაცებლები საპატრიარქოში მიიღეს და ყაჩაღებს ძალიან დაუახლოვდნენ. იმის ნაცვლად, რომ მოპარული ფულების დაბრუნება ერჩიათ, გვერდზე დაისვეს და ყველაფერი მიუტევეს.

როცა ხალხის მძარცველს ხალხის ძარცვას პატიობ და მისგან ფულებს იღებ, ჩათვალე, რომ ეშმაკის დაბადებას უწყობ ხელს.

საპატრიარქომ ჩხარტიშვილს ძალიან ფართოდ გაუღო კარი. ის ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტში დიდი გავლენით სარგებლობს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მას ჩააბარეს გალობის სკოლა.

რა უნდა ჩხარტიშვილს გალობასთან? როგორ შეიძლება, ეგ ადამიანი საეკლესიო გალობასთან იყოს რამე კავშირში? მან, შეიძლება, მომავალი მგალობლები გზიდან ააცდინოს. ისევე, როგორც სხვა ოლიგარქების, ამ ბატონის მთავარი საგალობელი ფულია. მაკარ კოტრიაშვილის მსგავსად, ჩხარტიშვილიც „ფულებო, ჩემო ფულებოს“ მღერის. მისთვის მთავარი საღოცავია ფული. ასეთ ადამიანებს საეკლესიო გალობას რომ ანდობ და საპატრიარქოში უშვებ, მერე ნუღარ გიკვირს, რომ პატრიარქს გადადგომას სთხოვენ.

მთავრობასა და პარლამენტში რომ კარგი არაფერი ხდება, ეს აღარ გვაკვირვებს, მაგრამ ცუდია, როცა საპატრიარქოშიც უმსგავსო ფაქტებს აქვს ადგილი. ამის შესახებ თავად სასულიერო პირები საუბრობენ და აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საპატრიარქოს ზოგიერთი წარმომადგენელი არა სულიერებაზე, არამედ საკუთარ კუჭიერებაზე ზრუნავს.

ასე გაგრძელება ჩვენს ეკლესიას დაანგრევს. ამ სიტუაციიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია – საპატრიარქომ მაფიოზებთან ალიანსს თავი უნდა დაანებოს.

– მაფიოზებთან ალიანსში რას გულისხმობთ?

– პირველ რიგში – მაფიოზებისგან შემოწირულობების აღებას. სასულიერო პირები ქადაგებენ, რომ ვერცხლთმოყვარეობა ცუდია და ამის მაგალითად მოჰყავთ იუდა, რომელმაც მაცხოვარი 30 ვერცხლად გაყიდა. ასეთ რამეს როცა ქადაგებენ, თავად არ უნდა გადაიქცნენ პატარა იუდებად. ჩამუქებულმინებიანი, ძვირი ჯიპებით სიარულიც იუდობის გამოვლინებაა.

– იუდამ, მართალია, შესცოდა, მაგრამ ძვირფასი ტრანსპორტით არ დადიოდა.

– იუდობა მხოლოდ 30 ვერცხლის აღებას არ ნიშნავს. ფუფუნებაში გადავარდნაა იუდას მიმდევრობა. ფუფუნებაში ცხოვრება მართლმადიდებლური იდეალებით მიუღებელია.

ცნობილი ფრაზა – როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერ მოხვდება სასუფეველში – ეკუთვნის მხოლოდ მართლმადიდებლობას.

ჩვენი რწმენა მდიდრებს არ ებრძვის და ამ შემთხვევაში ალბათ მაფიოზებსა და ოლიგარქებზეა საუბარი. სხვისთვის წაგლეჯილი ფულებით გამდიდრებულებს საპატრიარქოში, მართალია, თბილად იღებენ, მაგრამ სასუფეველში მათი ადგილი ნამდვილად არ იქნება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში წესიერი ადამიანი ვერაფრით იშოვიდა იმდენ ფულს, რამდენიც ივანიშვილმა, ჩხარტიშვილმა და მათნაირებმა იშოვეს. მათი ადგილი ციხეშია. მათ კი საპატრიარქოში შეაღწიეს და თავს წმინდანებად გვაჩვენებენ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საპატრიარქოს, გაწყვიტეთ ყველანაირი კავშირი მაფიოზებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ კიდევ გამოჩნდება სხვა ბიზნესმენი, რომელიც პატრიარქს გადადგომას მოსთხოვს.

– ამბობთ, რომ საპატრიარქოში ისინი მიღებული არიან, პატრიარქიც მოწყალე თვალით უყურებს მათ. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა მოითხოვონ ილია II-ის გადადგომა?

– ისინი საპატრიარქოს ფულებს იმისთვის არ სწირავენ, რომ ან ღმერთი სწამთ, ან პატრიარქს სცემენ პატივს. მათ სულ სხვა მიზნები და დიდი მადა აქვთ. ამიტომ კიდევ მოსთხოვენ ილია II-ს გადადგომას. მათ თავიანთი ხელის პატრიარქი სჭირდებათ. ისინი ცდილობენ, საპატრიარქო სრულად გააკონტროლონ.

ილია II მაფიოზებს ბევრ რამეში ეწინააღმდეგება. ის ცდილობს, ანტისახელმწიფოებრივი კანონები არ იქნეს მიღებული, რაც მაფიოზების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ფულის გარდა, ამ უწმინდურებს ყველა ეზედმეტებათ. გამონაკლისი არც პატრიარქი აღმოჩნდა.

მაფიოზებთან კავშირის გაწყვეტის გარდა, ეკლესიაშიც დიდი წმენდაა ჩასატარებელი. ციანიდის საქმემ ძალიან ბევრი სკანდალი ამოატივტივა. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ეკლესია სავსეა ოხროხინეს მსგავსი ტიპებით.

არ მინდა, თქვენმა მკითხველმა ისე გაიგოს, რომ ყველა სასულიერო პირი უღირსად მიმაჩნია. ძალიან ბევრი ღირსეული ბერი, ეპისკოპოსი და მღვდელი გვყავს, მაგრამ ისინი ჩრდილში არიან.

ბავშვობაში სულ მიკვირდა, თუ რატომ არ შეუშალა ხალხმა კომუნისტებს ხელი ეკლესიების დანგრევაში. ზოგიერთ სასულიერო პირს რომ ვუყურებ, ვხვდები, რატომ არ ამოიღო მაშინ ხალხმა ხმა. იმის არ მჯერა, რომ კომუნისტების ეშინოდათ. ქართველი საზოგადოება ყოველთვის ბედავდა თავისი პოზიციის დაფიქსირებას. ეს მიტინგები თუ დემონსტრაციები სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ ხალხი მაინც ვერ დააშინეს.

კომუნისტური წარსული აღარ დაბრუნდება და აღარც ტაძრებს დაანგრევენ, მაგრამ მაფიოზებმა ლამის მთელი ეკლესია ჩამოგვიშალონ. ეკლესიის ჩამოშლაა, აბა, რა არის, როცა ხაზინისა და ხალხის მძარცველები პატრიარქს გადადგომისკენ მოუწოდებენ.

დავით ჭიჭინაძეს საპარლამენტო უმრავლესობიდანაც რიცხავენ

შორენა მარსაგიშვილი

გაიზიარებენ თუ არა მის ბედს აკაკი ზოიძე და ლევან კობერიძე

მეამბოხე დეპუტატ დავით ჭიჭინაძის თემა ამ კვირაშიც აქტუალური იქნება. პარტიიდან გარიცხვის შემდეგ მას საპარლამენტო უმრავლესობიდანაც უპირებენ გაგდებას. თავად დავით ჭიჭინაძე არსად აპირებს წასვლას და მედიასთან საუბარში ამბობს, რომ მისი საკითხი კოლექტიურმა ზარდიაშვილებმა არ უნდა გადაწყვიტონ.

კოლექტიურ ზარდიაშვილებში ის ირაკლი კობახიძეს, თამარ ჩუგოშვილს, არჩილ თალაკვაძეს, მამუკა მდინარაძესა და გია ვოლსკის გულისხმობს.

ამ ჯგუფში ცოტა ხნის წინ ჭიჭინაძემ ზაქარია ქუცნაშვილიც გააწვრიანა. კოლექტიური ზარდიაშვილობა მას განსაკუთრებით ეთაკილება და იმით ამაყობს, რომ ივანიშვილი შაქარიას ეძახის.

კოლექტიური ზარდიაშვილები ჭიჭინაძეს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნებიდანაც“ უპირებენ გარიცხვას.

ერთი თვის განმავლობაში ჭიჭინაძე ხელშეუხებელი იქნება – საპარლამენტო უმრავლესობის ფორმატში დავით ჭიჭინაძის საკითხი, სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიაზე, სექტემბერში განიხილება.

მმართველ პარტიაში ისეთი ამბები მიდის, რომ შესაძლოა მეამბოხე დეპუტატი უმრავლესობაშიც დარჩეს და ფრაქციაშიც.

პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, საპარლამენტო უმრავლესობიდან დეპუტატის გასარიცხად უმრავლესობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერაა საჭირო, ხოლო ფრაქციის შემთხვევაში კვორუმი 2/3-ია.

პარტიის სამდივნომ, რომელიც 5-კაციანია, დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნებიდან“ 18 ივლისს გარიცხა და მიზეზად პარტიული დისციპლინის დარღვევა დაასახელა.

„ახალ თაობასთან“ საუბარში დავით ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ სამდივნოს გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭოზე გაასაჩივრებს.

საჩივარს ის ამ დღეებში შეიტანს, რადგანაც გასაჩივრების ვადა პირველ აგვისტომდე აქვს.

ქვეყნის მთავარ მეოცნებეს მასთან დაკავშირებით არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ეს „ოცნებაში“ აჩენს ეჭვებს, რომ ბიძინა ივანიშვილი მასზე გაბრაზებული არ არის. საშემოდგომო სესიამდე ჭიჭინაძემ ივანიშვილთან შეხვედრა თუ მოახერხა, მაშინ მას უმრავლესობიდან ვეღარ გარიცხავს და შესაძლოა პარტიაშიც დაფითა და ნაღარით დააბრუნონ.

კოლექტიურ ზარდიაშვილებად მონათლული პარლამენტის „ვერხუშკა“ დეპუტატების დიდ ნაწილს აღიზიანებს. მათ შესაძლოა ივანიშვილთან იჩივლონ.

ამ დღეებში უმრავლესობაში „ვერხუშკის“ მიმართ დაუმორჩილებლობის ნიშნები აშკარად გამოჩნდა. ჯერ ლევან კობერიძემ დაგმო ისინი ჭიჭინაძის გარიცხვისთვის, ხოლო შემდეგ აკაკი ზოიძემ გამოუცხადა კვირიკაშვილს მხარდაჭერა. კვირიკაშვილის მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულების გამოხატვის არ შეეშინდა ლევან კობერიძესაც.

დავით ჭიჭინაძის განცხადებით, კობერიძემ კვირიკაშვილი პარტიის დახურულ სხდომაზეც დაიცვა. კობერიძის გარდა, ყოფილ პრემიერს მხარდაჭერა ალექსანდრე ერქვანიამაც გამოუცხადა.

რამდენად ნიშნავს ეს „ოცნებასთან“ დაპირისპირებას, ძნელი სათქმელია. თავის დროზე ჭიჭინაძემაც ასე დაიწყო და ბოლოს სამდივნოს ხუთეულმა წითელი ბარათი აჩვენა.

მან პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნაც დააანონსა. „ოცნება 2012“-ის წევრობის შანსი ექნება ყველა იმ დეპუტატს, რომლებსაც „ქართული ოცნებიდან“ გარიცხავენ ან თავიანთი ნებით წამოვლენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი შეგუებულია, რომ მიდის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი პასუხობს.

– ბატონო აკაკი, ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლა აქტუალობას კვლავაც არ კარგავს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილს მართვის სადავეები ხელიდან გაექცა, ახლა მის დაბრუნებას ცდილობს, თუმცა უკვე გვიანია. რას იტყვით თქვენ?

– მე მგონია, რომ თვითონაც შეგუებულია. შეგნებულად თუ შეუგნებლად თვითონაც გაცნობიერებული აქვს, რომ მიდის თვითონაც და მისი ხელისუფლებაც. თვითონ მიდის ხელისუფლებიდან, თორემ, სადაც უნდა, იქ წავიდეს, მისი საქმეა.

– თქვენ ეს დაინახეთ?

– რა დანახვა ამას უნდოდა, მთელი საათი თავს იმართლებდა. ან ხეებზე რამდენი ილაპარაკა, დამნაშავე არა ვარო. პანორამაზე ილაპარაკა, ხეებზე და ყველა წინადადების მერე თავს იმართლებდა. გუნდი პატივს არ სცემს და მსგავსი განცხადებებით ის ცდილობდა ყველაფრის სხვისთვის გადაბრალებას. გადააბრალა კიდეც კვირიკაშვილს და თუ რამე მიღწევა იყო კვირიკაშვილის დროს, ის ბახტაძეს გადააბრალა, რომელიც ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ბახტაძეს რამდენიმე სწორი ინიციატივა აქვს.

– რომელ ინიციატივებს გულისხმობთ?

– იგივე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებაა ჩვენი შანსი, რომ არ უნდა დაიბეგროს. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ბახტაძე იმ 7,5%-ს, რაც ივანიშვილმა თქვა, ვერანაირად ვერ მიაღწევდა. კვირიკაშვილი მისდევდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ეს შედეგს მოიტანდა, მაგრამ მისმა აპოლიტიკურობამ გახადა ეს თემა აქტუალური.

– კვირიკაშვილის სახით განტევების ვაცი მოიძებნა?

– რატომღაც ასე გადაწყვიტეს და ეს კვირიკაშვილი რომელიმე შემოპარული რაზმის მეთაური ხომ არ იყო, ან დივერსანტი. ეს იყო ქართუ ბანკიდან მოყოლებული, ივანიშვილის თანამშრომელი, ეს იყო ეკონომიკის მინისტრი, იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, ბოლო ორწელიწად-ნახევარი – პრემიერ-მინისტრი. აღმოჩნდა, რომ თურმე არ უჯერებდა მას. კვირიკაშვილმა ხელის წამოსარტყმელად ვერ გაიმეტა საკუთარი თავი და შეეწინააღმდეგა ივანიშვილს, რაც არ აპატია. ივანიშვილის გამოსვლა იყო გულწრფელი, ამას ბევრი აღნიშნავს, მაგრამ ეს იყო მარცხის წინ შეწყალების თხოვნა.

– ასე დაინახეთ?

– მე ასე გავიგე. მას არაფრის შეცვლა არც უნდა ამას ვეღარც გააკეთებს. მას საერთოდ წარმოდგენა არ აქვს პოლიტიკაზე. მას ისეთივე ილუზია გაუჩნდა თავის დროზე, რაც ბევრ ჰქონია და შემდეგ მწარედ გაწბილებულა. პოლიტიკა და ბიზნესი რაღაცით ჩამოჰგვანან ერთმანეთს. მსგავსება მათ შორის დაახლოებით ისეთივეა, როგორიც – ჩოგბურთსა და ბადმინტონს შორის. იქაც ბადეა, აქაც ბადეა, მოედანია, ჩოგნებია, მაგრამ, ჩოგბურთის ბურთი რომ მოხვდეს კაცს, სერიოზულ ტრავმას მიაყენებს, ბადმინტონის ბურთი კი ქარივითაა, ვერაფერს დაგიშავებს. აი, ეს სხვაობაა, ჩოგბურთი ძალიან მძიმეა, ბადმინტონი კი თავის შესაქცევია.

პოლიტიკა და ბიზნესი რაღაცით ჩამოჰგვანან ერთმანეთს. მსგავსება მათ შორის დაახლოებით ისეთივეა, როგორიც – ჩოგბურთსა და ბადმინტონს შორის. იქაც ბადეა, აქაც ბადეა, მოედანია, ჩოგნებია, მაგრამ, ჩოგბურთის ბურთი რომ მოხვდეს კაცს, სერიოზულ ტრავმას მიაყენებს, ბადმინტონის ბურთი კი ქარივითაა, ვერაფერს დაგიშავებს. აი, ეს სხვაობაა, ჩოგბურთი ძალიან მძიმეა, ბადმინტონი კი თავის შესაქცევია

– ასეა პოლიტიკა და ბიზნესიც?

– დიახ და ივანიშვილი ამ საქმეს მიუდგა ბიზნესის პრინციპით. ეგონა, რომ როგორც ქართუ ჯგუფი მისი სამფლობელოა, იმავეს გადმოიტანდა ამ საქმეშიც. მით უმეტეს, ვხედავთ, რა სიბინძურეა ზედაპირზე, მე სიღრმეებში არ ჩავდივარ, იმაზე ვსაუბრობ, რაც ზედაპირზეა.

– რა სიბინძურეზე საუბრობთ?

– მთელ მთავრობას კრედიტები აქვს ქართუ ბანკში. წარმოგიდგენიათ ეგეთი მთავრობა თქვენ?! რად უნდა ან პარტიის თავმჯდომარეობა, ან პრეზიდენტობა, ყურებით ჰყავს დაჭერილი ყველა. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

– ბანკი და კრედიტი ახსენეთ და მან მწვავედ გააკრიტიკა საქართველოსა და თიბისი ბანკები. ამ ორმა ბანკმა გადაჭამა ქვეყანაო. ეს როგორ გაიგეთ?

აკაკი ასათიანი: „მთელი მისი ინტერვიუ თავისმართლება იყო“

– რა საინტერესოა, როდის აღმოაჩინა ეს ამბავი?! თავიდან იყო გულმხურვალე გულშემატკივარი და ახლა რა შეიცვალა?! თვითონვე არ მიუშვა ეს სადავეები?!

– მაშინ რა მოხდა, რა შეიცვალა?

– მან ჩათვალა, რომ კვირიკაშვილს ფინანსური ინტერესები ჰქონდა ხაზარაძესთან. მე ნამდვილად არ ვიცი, ხაზარაძესა და კვირიკაშვილს რა ურთიერთობა აქვთ. მე რამდენადაც ვიცი – ნორმალური. ასე მეც ვიცნობ ხაზარაძეს და, სხვათა შორის, პატივსაც ვცემ, იმიტომ, რომ ძალიან უნარიანი ბიზნესმენია ნამდვილად. შეიძლება კვირიკაშვილს მეტი ჰქონდა, ცხადია, იქ ერთობლივი პროექტები იყო. ფაქტია, რომ მან კვირიკაშვილის დამოუკიდებლობა და განსხვავებული აზრი ვერ აიტანა. ყველაზე დიდი პრობლემა, იცით, რა გამოჩნდა ამ ინტერვიუდან?!

– რა?

– ამდენი ილაპარაკა ამ პრობლემებზე, ვითომ როგორ განიცდის, თურმე ღამეები არ ეძინა ხალხის სიღარიბის გამო. ბევრჯერ ახსნა, თუ რატომ გლეჯს ხეებს, რაშიც, სიმართლე გითხრათ, მე დანაშაულს ვერ ვხედავ, მაგრამ ძალიან კომიკურია. თუ ასე უნდა ხეების დარგვა, აგერ არის იპოდრომი, რომელიც მისი საკუთრებაა და, თუ ხალხზე ზრუნავს, სწორედ იქ გააკეთოს პარკი. სულს მოათქმევინებდა თბილისელებს.

– რატომ ისაუბრა ასე თავისმართლების რეჟიმში, რამე საფრთხის მოლოდინშია?

– რა თქმა უნდა, ხედავს. დააკვირდით, რა თქვა, როცა დემოკრატია წინ მიდის და ეკონომიკა ასე ჩამორჩება, ეს დესტაბილიზაციის საფრთხეაო. მას დესტაბილიზაცია აწუხებს თავისი თავის მიმართ, თორემ სახელმწიფოებრივად კი არა. სულ ილაპარაკა საკუთარ თავსა და გუნდზე. გუნდის დაშლის საფრთხე იყოო. მე სულ არ მაინტერესებს მისი გუნდი! ის გუნდი უკვე დაშლილია და განწირულია. აქ მთავარი სხვა რამე იყო.

– რა იყო მთავარი?

– კარგი, ეს უბედურებები ყველაფერი გვჭირს და დააბრალა კვირიკაშვილსა და ქუმსიშვილს. გავიგეთ, მაგრამ რას აპირებს? პარტიის თავმჯდომარეა, მმართველი პარტიისა, ერთი სიტყვა თქვა, სად არის გამოსავალი, რამით დაიმედა საზოგადოება?! ხომ შეიძლებოდა ეთქვა, როგორ აპირებს ამის გამოსწორებას?! ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს და, კიდევ კარგი, არ თქვა, რადგან იტყოდა ახალ სისულელეს, წინასწარ შემიძლია ვთქვა.

ამიტომაც გაურბის ამაზე საუბარს, არასდროს ამბობს, რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ამ ვითარების გამოსასწორებლად. ამიტომ თავს იმართლებდა, ქვეცნობიერად გრძნობს, თუ რამდენად სერიოზული პრობლემებისა წინაშე დგას, ეს მონაგონია, რაც ახლა არის, გაცილებით სერიოზული პრობლემები ექნება.

– რას ცდილობს, პასუხისმგებლობის არიდებას?

– ნამდვილად ასეა და მერე გვეტყვის, რომ ვიღაცებმა შეაპარეს ეს ხალხი, რომ მოატყუეს. როგორც მარგველაშვილზე თქვა, რომ მოატყუა და მოაჯდა პრეზიდენტის სავარძელს.

– პრეზიდენტი ახსენეთ და ეს თემაც საკმაოდ აქტუალურია. რატომ მიდის საუბარი დამოუკიდებელ კანდიდატზე?

– ვინ უნდა ჰყავდეთ კანდიდატად. ოთხი კაცი ჩამოთვალა და ვინ შეიძლება იყოს იქიდან პრეზიდენტი?! ახლა ცდილობს, ეს დემოკრატიით გაამართლოს. ზოგი ამბობს, რომ ელჩებმა წაუყენეს ულტიმატუმი. რითაც არ უნდა გაამართლოს, ფაქტი არის სახეზე, 6 წლის მმართველობის თავზე პარტიას არ ჰყავს პიროვნება, რომელიც შეიძლება დააყენონ პრეზიდენტობის კანდიდატად.

– თავად ივანიშვილი?

– თავად ივანიშვილიც რომ ყოფილიყო, ვერც ის მოიგებდა, რასაც მოგება ჰქვია! ყველაზე მეტი შანსი ექნებოდა, მაგრამ ძალიან გაუჭირდებოდა და სხვები ხომ საერთოდ.

დამოუკიდებელს დავუჭიროთ მხარიო და ეს ძალიან საინტერესო რამეა. მხარს თუ დაუჭერ დამოუკიდებელს, ეს რას ნიშნავს?! თუ „ოცნება“ არ მონაწილეობს, მაშინ არანაირად არ მონაწილეობს და მორჩა! სახელისუფლებო პარტია უჭერს მხარს და ის დამოუკიდებელია ამ დროს?! მე მგონია, რომ აუცილებლად იქნება მეორე ტური და ეს არჩევნები სწორედ ამით იქნება საინტერესო, როგორც პოლიტიკური პროცესების კატალიზატორი.

„ალეკო ელისაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებზე შანსები ექნება“

რამაზ საყვარელიძე: „ძალიან ბუნდოვანი არჩევნები გველოდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ალეკო ელისაშვილმა თქვა, რომ თუ სალომე ზურაბიშვილს გაუმზადებენ ტახტს, მე აუცილებლად ჩავერთვები ბრძოლაშიო. რა შანსები აქვს ელისაშვილს?

– სალომე ზურაბიშვილი არის მისთვის ის წითელი ნაჭერი, რომლის აფრიალების შემთხვევაში მიიღებს ამ გადაწყვეტილებას?! მაგალითად, ნინო ლომჯარია, სახალხო დამცველი, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი თუ ჩაერთო, მაშინ უარს იტყვის?!

ალეკო ელისაშვილი ნამდვილად არის დამოუკიდებელი კანდიდატი და მას აქვს ის ხიბლი, რასაც მართლაც ჰქვია უპარტიო, ზეპარტიული კანდიდატი და ის ნამდვილად იქნება ერთ-ერთი ძლიერი კანდიდატი. ჩვენ ვნახეთ, თბილისის მერის არჩევნებში როგორ უკან მოიტოვა ყველა და როგორი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აიღო. თბილისის არჩევნებში კალაძის წინააღმდეგ, უზარმაზარი პარტიული რესურსის წინააღმდეგ იმ შედეგის დადება, რაც ელისაშვილმა მაშინ დადო, არ იყო პატარა ამბავი. ამიტომ არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მე მის განაცხადს ველოდი.

– ელისაშვილი მარგველაშვილს მოუწოდებდა მეორე ვადით კენჭისყრისკენ. მისი პოზიციის შეცვლა ივანიშვილის განცხადებას უკავშირდება?

– ერთ-ერთი სერიოზული ბიძგი ბიძინა ივანიშვილის განცხადება იქნებოდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ასეთივე ბიძგი აღმოჩნდეს ივანიშვილის განცხადება ბევრი სხვა დამოუკიდებელი კანდიდატისთვის.

– ელოდებით დამოუკიდებელ კანდიდატებს?

– დიახ. მე არ გამოვრიცხავ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატების რიგი დადგეს. ამას ივანიშვილის განცხადებამ მისცა ბიძგი.

– ელისაშვილს რა შანსები აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც ადგილობრივი არჩევნებისგან განსხვავდება?

– თქვენ სწორი აქცენტი გააკეთეთ. ელისაშვილი მე არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც კარგი მერი ყოფილიყო, მან იცის თბილისი და, რაც მთავარია, უყვარს თბილისი, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტობა მაინც სხვაა, თანაც საგარეო პოლიტიკა უნდა წარმართოს. თუ ელისაშვილი ამ ბრძოლაში შევა, მას სრულიად ახალი უნარის გამოვლენა მოუწევს, რომ მას მსოფლიო პოლიტიკის შესახებ საუბრისას შეუძლია, ისევე იყოს დამოუკიდებელი, როგორც, მაგალითად, იყო დამოუკიდებელი თბილისის ძეგლების დაცვისას.

ამიტომ, როდესაც ის მარგველაშვილს მოუწოდებდა, კენჭი ეყარა და მას უცხადებდა ნდობას და მასზე დებდა ფსონს, ალბათ სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული. თუმცა, ერთი უდავო ხიბლი, რაც ალეკო ელისაშვილს აქვს, ეს მისი სახალხოობაა. ის ნამდვილად არის „ხალხური“ ფიგურა ქართულ პოლიტიკაში. მასზე ხალხი ფიქრობს, რომ ის ჩვენიანია, ასეთად აღიქმება ის.



ეს ნამდვილად არის პოლიტიკაში ძალიან სერიოზული პლუსი, როდესაც ხალხი, როგორც შენიანს, ისე გიყურებს, როდესაც შენსა და საზოგადოებას შორის ხიდები არ არის საჭირო, რადგან ერთ მხარეს ხართ. ეს სერიოზული კაპიტალია და ამ კაპიტალს ალეკო ალბათ გამოიყენებს. ამ სტილის გამო მას ძალიან დიდი შანსი აქვს.

– თქვენ თქვით, რომ დამოუკიდებელი კანდიდატების რიგს ელოდებით.

– დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი რამ შეიძლება მოხდეს, როგორც ეს, მაგალითად, ოპოზიციის შემთხვევაში მოხდა.

– რას გულისხმობთ?

– ბევრი უპარტიო კანდიდატის შემთხვევაში ხმები გაიყოფა.

– მეორე ტურის ალბათობაზე საუბრობთ?

– დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში წინასწარ ამაზე საუბარი შეუძლებელია, რადგან ძალიან ბუნდოვანია თამაში. ივანიშვილის ვერსიით, რომ მმართველ პარტიას კანდიდატი არ ჰყავდეს და კიდევ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ეს ნამდვილად შექმნის უნიკალურ სიტუაციას.

მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, მხარი რომელიმე დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭიროს, მაგრამ, რა იგულისხმება მხარდაჭერაში – ადმინისტრაციული რესურსის ამოქმედება, ფინანსური რესურსით მხარდაჭერა თუ მხოლოდ ისე, სიტყვიერი მხარდაჭერა და სახელმწიფო მანქანის, პარტიული რესურსის გაჩერება?! ამ შემთხვევაში ეს არის მნიშვნელოვანი, პარტიული მანქანა ვინმეზე იმუშავებს თუ გაჩერდება.

თუ მანქანა ამოქმედდება, მაშინ გაიმარჯვებს ის, ვისზეც ეს რესურსი იმუშავებს, თუ არადა, თუ არავისზე იმუშავებს, მაშინ გაიმარჯვებს ის, ვისაც აქვს გამართული პარტიული რესურსი და ვისი ამომრჩევლის მობილიზებაც მოხდება. ამ შემთხვევაში მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი.

ნაციონალური მოძრაობა 15%-ს ყველა შემთხვევაში აიღებს. 27%-იანი „ქართული ოცნება“ თუ გაჩერდება, სხვები რა შედეგს დადებენ, ხომ არ არის რთული გამოსაცნობი?! ამიტომ ვამბობ, რომ სიურპრიზებით სავსე არჩევნები გველოდება. ამ პასიანსში ძალიან აჭრილია კარტები.

რა დარღვევები უპოვა აუდიტმა აფხაზეთის მთავრობას

გულიკო ბალაძე

რატომ არ დაამტკიცა აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მისივე მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიში? რა დასკვნა დადო აფხაზეთის ბიუჯეტთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მურმან კვარაცხელია ესაუბრა.

– ბატონო მურმან, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ რატომ არ დაამტკიცა მთავრობის ანგარიში? კონკრეტულად რა დარღვევებია?

– მთავრობამ წარმოადგინა 2017 წლის ანგარიში აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ბიუჯეტის წარმოდგენისას მნიშვნელოვანია, როგორ შესრულდა ბიუჯეტი მისი შემოსავლების, გასავლებისა და ხარჯვის ნაწილში. როცა ბიუჯეტი მოწმდება, პირველ რიგში, ამოწმებენ, სტრატეგიული დაგეგმვა და ერთი წლის პროგნოზი რამდენად სწორად გაკეთდა, რამდენად სწორად გაწერეს ის მუხლები, რომლებიც ბიუჯეტის წინაშე იყო წაყენებული, რა გააკეთეს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა? რა დადებითი და უარყოფითი მოიტანა ამან?

– ბიუჯეტის სტრატეგიული დაგეგმვა სწორად არ განხორციელდა?

– თვითონ აუდიტის სამსახური სტრატეგიულ დაგეგმვასთან ასკვნის, რომ 2018 წლის მაჩვენებლების მკვეთრად არათანაბარზომიერი შესრულება გამოვლინდა. ე.ი. ბიუჯეტი არათანაბარზომიერად დაიგეგმა და არათანაბარზომიერად შესრულდა. ჩვენი ბიუჯეტი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი არის ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერი – ჩვენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 8 მილიონს გვაძლევს, გვაქვს ჩვენი გადამხდელი ორგანიზაციები, მათ შორის, მოგეხსენებათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს „ენგურჰესი“.

– „ენგურჰესი“ ბიუჯეტში გადასახადს გიხდით?

– დიახ, ეს აფხაზეთის ტერიტორიაა და „ენგურჰესიდან“ წლიური შემოსავალი დაახლოებით 6 მილიონზე მეტს შეადგენს. საერთოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 14 მილიონს აჭარბებს. ფაქტობრივად, დაგეგმილ ბიუჯეტთან შედარებით, აფხაზეთის სტრუქტურებს ბიუჯეტს პროფიციტი აქვს. წინა წლის შემოსულობებთან შედარებით, გაზრდილია დაახლოებით 110,95%-ით. ბიუჯეტის ზრდამ, წინა წლის პერიოდთან შედარებით, 572.700 ლარი შეადგინა.

საგადასახადო შემოსავლების წლიური შესრულების კუთხით, თითქმის ყველა სიპის მიხედვით (წინა წელთან შედარებით) გადასახადის ზრდის ტემპი ფიქსირდება.

გრანტებისა და სპეციალური ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია 320.000 ლარით. ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაგეგმვისადმი არასწორი მიდგომა არ იძლევა გამოყენებული პროგნოზების საიმედოობისა და რეალისტურობის განცდას, რასაც მივყავართ შემოსულობების ნაწილში არარეალურ გეგმურ მაჩვენებლებამდე.

– ბიუჯეტი არარეალურად შეგნებულად დაიგეგმა?

– ბიუჯეტი არარეალურად შეგნებულად დაიგეგმა თუ არა, არასწორად არის დაგეგმილი. ვერ გეგმავ ან არ გეგმავ რეალისტურად. ვიღაც ვერ გეგმავს, აბა, როგორ გავიგოთ, რომ ბიუჯეტი არარეალისტურად არის დაგეგმილი? ხომ უნდა განსაზღვრო, შემოსავალი რამდენი იქნება.

– თუ ბიუჯეტი არასწორად იყო დაგეგმილი, უმაღლესმა საბჭომ რატომ დაამტკიცა?

– მთავრობა ბიუჯეტს წარმოგვიდგენს, ჩვენ კი ვამტკიცებთ. მხარჯველი ორგანიზაციების დაფინანსება ხდება მათ მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის მიხედვით.

– მაშინ შემოტანილი ბიუჯეტი რატომ არ გაასწორეთ?

– ჩვენ არ ვასწორებთ. ჩვენ ვსწავლობთ და ვამტკიცებთ. აუდიტის დასკვნას ვეყრდნობით. ბიუჯეტის შევსება აუცილებლად უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული პარამეტრების მიხედვით უნდა მოხდეს. როდესაც დამტკიცებული პარამეტრები ბევრად მცირდება, ე.ი. არასწორადაა დაგეგმილი.

– ვთქვათ, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს რომ შემოიტანენ, ხომ მიხვდებით, რომ ბიუჯეტი არასწორად არის შედგენილი?

– ჩვენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არ ვმონაწილეობთ და არც ვართ ვალდებული, დაგეგმვაში მივიღოთ მონაწილეობა.

– პარლამენტს წარდგენილი ბიუჯეტი რომ არ მოსწონს, უკან აბრუნებს.

– აბრუნებს, მაგრამ ძირითადად ბიუჯეტს რაც ეხება (შემოსავლები და გასავლები), მთავარი ფინანსური ბერკეტები, მთავრობას აქვს. დაგეგმილი მაჩვენებლები აუცილებლად უნდა იყოს რეალური.

– აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიუთითა და მთავრობამ არ გაასწორა?

– მათ ეგონათ, ბიუჯეტი სწორად დაგეგმეს, მაგრამ შემდეგ აუდიტმა აღმოაჩინა, რომ სწორად არ იყო დაგეგმილი. აუდიტის დასკვნით, იკვეთება ბიუჯეტის შესრულების არათანაბარზომიერება. რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო გადასახადების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, განათლებისა და კულტურის სამინისტროს ზოგიერთი პროგრამა.

– დიდი დაფინანსება რომელ სფეროსა თუ ორგანიზაციას მისცეს?

– განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ყველაზე მეტად მხარჯველი ორგანიზაციები არიან. რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულების სამწლიანი ანალიზია გაკეთებული. მთავრობა მოიტანს პროგრამებს და ამ პროგრამების მიხედვით ახდენს ბიუჯეტის დაგეგმვას. პროგრამების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება.

პროგრამები ოთხი მთავარი მიმართულებით ხორციელდება, რომელსაც აქვს უამრავი ქვემიმართულება. ბიუჯეტის ქვემიმართულებები წარმოიშვა ჯანდაცვასა და სოცუზრუნველყოფაში. ამდენად, შემცირებასთან არ გვაქვს საქმე. ამიტომ აუდიტორს მე, პირადად, როგორც ეკონომისტი, არ ვეთანხმები.

იმ პირობებში, როდესაც ჯანდაცვის პროგრამის დაგეგმვა-შესრულება ბიუჯეტის მხოლოდ 2,47%-ია, აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად საერთო დანიშნულების მომსახურება, კერძოდ, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს აპარატის შენახვის ხარჯები შეადგენს 1,6-ჯერ უფრო მეტს.

– ეს რას ნიშნავს?

– წარმოიდგინეთ, ჯანდაცვის სამინისტროს აპარატის შენახვის ხარჯები 1,6-ჯერ მეტია ამ პროგრამულ დაფინანსებაზე.

– ანუ ბევრი შტატია.

– ეტყობა, თვითონ აკეთებენ ამას. როგორ აკეთებენ, ალბათ, დასაბუთება ექნებათ, მაგრამ, როცა პროგრამულ დაფინანსებაზე ხარ, ჯერ პროგრამები უნდა დააფინანსო მაღალ დონეზე, შემდეგ კი – აპარატის ხარჯები.

– ჯანდაცვის სამინისტროს აპარატია შესამცირებელი თუ ხარჯები?

– აუდიტს მიაჩნია ასე. ჩვენ რა უფლება გვაქვს, მხარი არ დავუჭიროთ?

– სხვა რა დარღვევებზეა საუბარი?

– აუდიტის ანგარიშში განსაკუთრებით შტატგარეშე მომუშავეთა პერსონალის დაფინანსებაზეა საუბარი.

– ეგ საინტერესოა, რადგან ზოგჯერ ფიქტიურადაც ასაქმებენ თავისიანებს.

– ეგ არ ვიცი, შეიძლება, შეამოწმონ და გაიგონ, არის თუ არა ასე. შტატგარეშე სპეციალისტების აყვანა აუცილებლად სჭირდებათ, საჭიროებისამებრ სპეციალისტები შტატგარეშედ სამსახურში არამუდმივი სამუშაოს შესასრულებლად აჰყავთ. ამ დროს ბევრ მხარჯავ დაწესებულებაში ადამიანები წლობით ჰყავთ შტატგარეშედ.

– ეს არის საეჭვო.

– დიახ. თუ სპეციალისტი წლობით გჭირდება, კეთილი ინებე, შტატები გაზარდე და ისე დანიშნე. შეიძლება, ვიღაცამ ვიღაც აიყვანოს სამუშაოდ, რადგან უჭირს, მაგრამ ამ შემთხვევაში საბუთები უნდა იყოს.

– არ მესმის სპეციალისტის აყვანა იმის მიხედვით, რომ ადამიანს უჭირს.

– აუდიტი დასკვნაში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის არამიზნობრივ და არაეფექტურ ხარჯვაზე მეტყველებს სწორედ შტატგარეშე მომუშავეთა ჯამური ანაზღაურების ზრდა იმ პირობებში, როდესაც უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არ ყოფილა სათანადო სამუშაო აღწერილობები, არ იყო უზრუნველყოფილი ამ ადამიანების დასაქმება.

უფრო მეტიც, ხშირად მხარჯავი დაწესებულებებისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა ამა თუ იმ შტატგარშე მომუშავის სამსახურში აყვანა, მაგრამ მაინც აჰყავდათ, შესაბამისად, მისთვის ანაზღაურების სახით საბიუჯეტო თანხების გადახდა ხდებოდა. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ოდენობა 2014 წელთან შედარებით 37.33%-ით არის გაზრდილი.

ასევე ჩვენთან არის შპს-ები და სიპ-ები. საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვისა და ხარჯვის ეფექტურობის თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სიპ-ების საკუთარი შემოსავლების საკითხი.

– შპს-ები და სიპ-ები რას აკეთებენ?

– მათთვის სუბსიდიები გამოიყოფა. არ შეიძლება, არ იყოს, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრი. იქ არის სახელმწიფო კაპელა. აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი. უამრავი ასსიპებია, რომლებზეც სუბსიდიები გაიცემა, სუბსიდიების უმეტესი ნაწილი, ხოლო უკუგება, როგორც აუდიტის სამსახური ამბობს, ძალიან ცოტაა. თვითონ თავისი შემოსავალიც ხომ უნდა ჰქონდეს. სიპებს საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები ან მათი შემოსავლები ძალიან მცირეა.

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის გაცემული სუბსიდიები უმეტესად მიემართება შრომის ანაზღაურებაზე და არამატერიალური ბაზის ისეთი კომპონენტების გაუმჯობესებაზე, რომლებსაც მეტწილად უნდა უზრუნველყოფდეს სიპების საქმიანობის ეფექტურობა.

– მთავრობას სარეზერვო ფონდიც ხომ აქვს?

– დიახ, მნიშვნელოვანია მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯვის საკითხი. მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად. აუდიტის სამსახურის დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ მიუხედავად ამისა, სარეზერვო ფონდის სახსრები მიემართება მატერიალურ დახმარებებზე, იმ პირობებში, როდესაც ასეთი გადასახდელებისათვის (სოციალური დახმარებისათვის) რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები მთავრობის წარმომადგენლობით ასიგნებებში.

– ანუ მთავრობას ამ სარეზერვო ფონდიდან გაჭირვებული ხალხის დახმარება არ შეუძლია.

– ჩვენ წარმომადგენლობები გვყავს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, აჭარასა და სხვა ადგილებში და იმ წარმომადგენლობებს აქვთ სოციალური დახმარებებისთვის თანხები. აუდიტი ამბობს, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახსრების მსგავსი ხარჯვა მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება.

– როგორც ვიცი, მთავრობამ ფინანსური ანგარიში წარმოადგინა. მთავრობამ რით ახსნა ეს დარღვევები?

– მთავრობა ამბობს, ჩვენ გაჭირვებულ დევნილ ადამიანებს სოციალურ დახმარებას ვუწევთო.

გამოხმაურება

ქმარი ომიდან დაბრუნდა, ცოლმა ომის ამბები მოუყვაო

ძვირფასო რედაქცია, „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ ორ პუბლიკაციაზე მსურს განმარტებები გავაკეთო. ორივე საკითხთან მაქვს პირდაპირი კავშირი.

„ახალი თაობა“, 13 ივლისი, 2018, „დაიდგას თბილისში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი“.

– თბილისში არ დგას გენიოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი. აი, ასე დაფასდა მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი. რამდენიმე ათეული წელია, ასე დევს ეს ქვა პეკინის გამზირზე, ბუკიას ბაღთან, – წერს ბატონი გიორგი შალამბერიძე. გასაგებია მისი გულისტკივილი. ასე ფიქრობს მთელი საქართველო. სამწუხაროდ, ამ ორმოცი წლის განმავლობაში თბილისის მერიის ვერც ერთმა ხელისუფალმა „ვერ მოიცალა“ მიხეილ ჯავახიშვილისთვის, გარდა ერთისა. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი საქართველოს კულტურის სამინისტრომ დაუკვეთა გამოჩენილ ქართველ მოქანდაკე სოსო ქოიავას 1984 წელს. ქანდაკებაზე მუშაობა 4 წელიწადს გაგრძელდა. კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირის კომისიებმა ქანდაკებას უმაღლესი შეფასება მისცეს. მწერლის ქალიშვილები, ქალბატონები ქეთევანი და რუსუდანი, აღტაცებას ვერ მალავდნენ, ხშირად სტუმრობდნენ მოქანდაკის სახელოსნოს „მამის სანახავად“. დროთა განმავლობაში პეკინის ქუჩაზე მიმდებარე სკვერი („ბუკიას ბაღი“) ამოიყორა სხვადასხვა „ნაგებობით“, გარემო ქანდაკებისათვის გამოუსადეგარი გახდა. ამ პერიოდში ელბაქიძის აღმართს ეწოდა მიხეილ ჯავახიშვილის აღმართი – ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ბატონი მიხეილი. შეიქმნა არქიტექტურული პროექტი ახალი ადგილისათვის. ძეგლი მზად იყო ბრინჯაოში ჩამოსასხმელად, ხოლო პროექტი – მშენებლობისათვის. ფინანსური პრობლემების გამო პროცესი შეჩერდა. სიზუსტისათვის ჩავიხედავ ჩემს ჩანაწერებში.

– 5.XII.2004 წ. სახელოსნოში მესტუმრნენ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილე ლევან ლომინაშვილი. მერს გავაცანი „დედაქალაქის კარიბჭე“ – აეროპორტის გზატკეცილის არქიტექტურულ-სივრცული გადაწყვეტის პროექტი, ელგუჯა ამაშუკელის თამარ მეფის ძეგლი, რიყის არეალის არქიტექტურული გადაწყვეტის ვარიანტები, კანცელარიის შენობის მიმდებარე არეალისა და მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის პროექტები. პრეზენტაცია სამ საათს გაგრძელდა. – სად შეიძლება მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის ნახვა? – იკითხა მერმა. დავურეკე მოქანდაკეს. შევთანხმდით შეხვედრაზე მეორე დღისთვის. მერი აღტაცებულია. სახელოსნოდან ურეკავს მერიის კულტურის სამსახურის უფროსს, ავალებს: უნდა გამოვძებნოთ თანხა მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად და პიედესტალის მშენებლობისათვის, ყველა გეგმურ ღონისძიებას მოაკელით ცოტ-ცოტა, მეც დაგეხმარებით. საქმე დაიძრა.

17.II.2005 წ. გამაოგნებელი ცნობა. დამირეკა სოსო ქოიავამ, აღელვებულია. მერიის კულტურის სამსახურში მაჩვენეს მიხეილ ჯავახიშვილის შვილთაშვილის წერილი, რომელიც ითხოვს, გამოცხადდეს კონკურსი დიდი ბაბუას ძეგლზე. მოტივაცია: თავის დროზე ძეგლი შესრულდა პირდაპირი დაკვეთით და არა კონკურსით. მოქანდაკე აღშფოთებას ვერ მალავს. – კონკურსის წინადადება საბოლოოდ დაასამარებს ამ ძეგლის დადგმას, ეს წინადადება მით უფრო გაუგებარია, რომ „გამცხადებელს“ საერთოდ არ უნახავს ძეგლი...

სამწუხაროდ, ბატონი სოსო ქოიავას შიში ახდა, ძეგლის დადგმა გაიყინა. გადის ორმოცი წელი, მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი არ არის. აი, რატომ დევს, ბატონო გიორგი, ეს უკვე ისტორიად ქცეული ქვა „ბუკიას ბაღში“. კარგი იქნება, თუ კი ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა გააცოცხლებს ამ პრობლემას.

მეორე პუბლიკაცია – 20 ივლისი, 2018, ეხება ფოთის „კოლხი დედის“ მონუმენტსა და „მეზღვაურთა მემორიალს“ (ავტორები: მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია). ტაძრის რეკონსტრუქცია-გაფართოებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მონუმენტის ადგილმონაცვლეობა, რაც უაღრესად სამწუხარო ფაქტი იყო, რადგანაც ერთი საკითხის გადაწყვეტა მოხდა მეორის საზიანოდ. მხატვარი ედემი კოკაია წერს: „ძეგლი თავდაპირველად შვიდმეტრ-ნახევარი იყო სიმაღლეში, ახლა 60 სანტიმეტრი აკლია, კვარცხლბეკი 11 მეტრიდან 9 მეტრამდეა შემცირებულიო და ა. შ.“

რეალობა ასეთია: ძეგლის ამჟამინდელი ადგილი პირვანდელთან შედარებით კომპრომისულია, მაგრამ მისაღები. ის ჩემ მიერ არის შერჩეული. მართალია, ახალ ადგილზე მონუმენტი არ არის მოედნის დომინანტი, მაგრამ ინარჩუნებს რუსთაველის რკალის სივრცობრივი ელემენტის ფუნქციას და, რაც არსებითია, ის „ზის“ ჭანტურიას ქუჩის ღერძზე, რომლის მეორე თავში დგას ელგუჯა ამაშუკელისა და ჩემი ცოტნე დადიანის მონუმენტი. არსებობს მათ შორის ვიზუალური კავშირი. რაც შეეხება თავად „კოლხ დედას“, მისი ზომები არც ერთი სანტიმეტრით არ არის შემცირებული, რა, თავი მოაჭრეს თუ ფეხები? ქანდაკებას პლინტი ისედაც არ ჰქონდა. პიედესტალის სიმაღლე და კვეთი ზუსტად ისეთია, როგორიც იყო. ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, თითქოს ქანდაკება გადახრილია (არ გამოვრიცხავ), პირადად მე ვიზუალურად ასეთი შეგრძნება არა მაქვს.

თქვენი გაზეთიდან გავიგე, რომ მიმდინარეობს მეზღვაურთა მემორიალის „სრული რეაბილიტაცია“, რაც მისასალმებელია. მაგრამ რეაბილიტაცია უნდა შესრულდეს პროექტის საფუძველზე და ავტორის ზედამხედველობით. ეს ავტორის ექსკლუზიური უფლებაა. რეაბილიტაციის შესახებ ჩემთვის არავის უცნობებია.

პატივისცემით, ვახტანგ დავითაია,
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, პროფესორი, აკადემიკოსი

საქართველო რეგიონში აშშ-ის მთავარი საყრდენი ხდება?

რა შემთხვევაში გაძლიერდება რუსეთი კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი და უცხოელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თურქეთთან ამერიკის ურთიერთობის გაფუჭება გამოიწვევს რეგიონში საქართველოს, როგორც ვაშინგტონის მთავარი მოკავშირის, როლის ზრდას. შესაძლოა, ამან დაჩქაროს საქართველოს მიღება ნატოში.

დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც ვაშინგტონ-ანკარის ორმხრივი ურთიერთობები ცვალებადია და პერიოდული დათბობითა და დაძაბულობით ხასიათდება.

ამ დღეებში ამერიკა და თურქეთი ერთმანეთის მიმართ სერიოზულ პრეტენზიებს აყენებენ და მძაფრ განცხადებებს არ ერიდებიან.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი არ გამორიცხავს, რომ აშშ-მ თურქეთის სახით დაკარგოს ძლიერი და გულწრფელი მოკავშირე. ეს მოხდება მაშინ, თუ ანკარისადმი დამოკიდებულება არ შეიცვალა.

კონფლიქტის საფუძველი პასტორ ენდრიუ ბრანსონის საქმის სასამართლო პროცესი გახდა. პასტორი თურქეთში 2017 წელს დააკავეს. თურქეთის ხელისუფლება მას ქურთისტანის მუშათა პარტიასთან და ფეთჰულაჰისტებთან კავშირს ედავება. ორივე ორგანიზაცია, ანკარის თვალში, ტერორისტულია.

დონალდ ტრამპმა მოითხოვა ბრანსონის გათავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქციებით დაიმუქრა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განცხადებით, არავის აქვს უფლება, მიუთითოს ანკარას, როგორ მოიქცეს.

ვაშინგტონმა ანკარას რუსული საზენიტო-სარაკეტო დანადგარები S 400-ც გაუხსენა. მის შესყიდვაზე თურქეთსა და რუსეთს შორის მიღწეულია გარიგება. აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, თურქეთს სანქციები ამის გამოც დაუწესდება.

თავის მხრივ, თურქეთი აცხადებს, რომ ამერიკამ უარი არ უნდა თქვას მეხუთე თაობის ეფ 35-ის გამანადგურებლების ანკარისთვის გადმოცემაზე. გამანადგურებლები თურქეთს ნაყიდი აქვს. თუ აშშ მათ გაყიდვას გადაიფიქრებს, თურქეთი ამერიკას საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლებს.

ამერიკა-თურქეთის კონფლიქტი, ისევე, როგორც რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობის გაღრმავება, იმოქმედებს სიტუაციაზე რეგიონში და საქართველოს მომავალზე.

კავკასიაზე გავლენას ახდენს ასევე კასპიისპირეთში მიმდინარე პროცესები.

ევროპელი ანალიტიკოსების დასკვნით, კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრა გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევს.

თუ კასპიის ზღვის გარშემო 20 წელიწადზე მეტი ხნის წინ დაწყებულ დავას წერტილი დაესვა და განისაზღვრა მისი სტატუსი, ეს განსაკუთრებით იმოქმედებს მიმდებარე რეგიონებზე, მათ შორის, კავკასიაზე.

მოსალოდნელია, რომ აგვისტოში კასპიისპირა სახელმწიფოებმა – რუსეთმა, ირანმა, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და თურქმენეთმა – ხელი მოაწერონ შესაბამის შეთანხმებას.

ამ დოკუმენტით, შესაძლოა, კასპიის ზღვა, რომელიც სინამდვილეში ტბაა, ოფიციალურად გახდეს სრულყოფილი ზღვა. ეს გაზრდის მისი მდიდარი რესურსების ექსპლუატაციის მოცულობას. კასპიისპირა ქვეყნებიდან თითოეულს შეეძლება, დაამუშაოს ზღვის რესურსების 12 მილის ტერიტორია.

ირანისთვის ეს წამგებიანია. ეკონომიკურ სარგებელს აქედან ვერც რუსეთი ნახავს. მისთვის თურქმენეთსა და ევროპას შორის გაზსადენის შესაძლო მშენებლობა სერიოზულ კონკურენციას ნიშნავს.

რუსეთის აზრით, კასპიის შეთანხმებაში უნდა ჩაიდოს სამხედრო კომპონენტი. თუ სხვა მხარეებმა ეს პუნქტი გაიზიარეს, მაშინ კასპიის ზღვას არ მიაკარებენ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს. თუ ეს მოხდა, რუსეთი გაძლიერდება კავკასიაში.

„ჩემი ამოცანაა, გადასახადებისგან სრულად გავათავისუფლოთ ის სექტორი, რომელიც ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას შეძლებს“

ჩვენი „მწვანე ეკონომიკის“ ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იქნება სოფლის მეურნეობა. საქართველო გახდება ძალიან მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა ე.წ. ბიოპროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კოჯორში განაცხადა, სადაც მთავრობის წევრებს ახალი გარემოსდაცვითი კონცეფცია „მწვანე ეკონომიკა“ გააცნო.

პრემიერის თქმით, სოფლის მეურნეობის მხრივ შემოდგომაზე მთავრობის მიერ წარმოდგენილი იქნება ისეთი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იქნება გადასახადები სოფლის მეურნეობაში.

– როდესაც ვსაუბრობთ „მწვანე ეკონომიკაზე“, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გვექნება სოფლის მეურნეობაში. მე დავაანონსე, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად შევცვლით პრიორიტეტებს სოფლის მეურნეობაში. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ვერასდროს დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას არ აქვს პერსპექტივა. ბევრი ჩვენი ოპონენტი საუბრობს, რომ მიუხედავად მასშტაბური ინვესტიციებისა, სოფლის მეურნეობაში მაინც ვერ ხდება გარღვევა. ჩვენ უნდა განვასხვავოთ სოფლის მეურნეობა ნატურალური მეურნეობისგან. სამწუხაროდ, იმას რასაც ჩვენ და ჩვენი ოპონენტები ვუწოდებთ სოფლის მეურნეობას, ის არ გახლავთ სოფლის მეურნეობა. ის არის, ნატურალური მეურნეობა, რომელიც გახლავთ საქართველოში სიღარიბის ერთ-ერთი წყარო. დღეს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სოფლად, იძულებულია იყოს დაკავებული არა სოფლის მეურნეობით, არამედ ნატურალური მეურნეობით. ანუ აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელსაც თვითონ იყენებს საკვებად. ჩვენი „მწვანე ეკონომიკის“ ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იქნება სოფლის მეურნეობა. საქართველო გახდება ძალიან მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა ე.წ. ბიოპროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. მოგეხსენებათ, რომ ნატურალური პროდუქტების გარკვეული ჯგუფი ჩვენ გავათავისუფლეთ დღგ-ს გადასახადისგან, მაგრამ გვაქვს უფრო ამბიციური გეგმა და შემოდგომაზე ჩვენ ამ პოლიტიკას წარმოგიდგენთ, რომლის მიხედვითაც საქართველოში იქნება ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადები სოფლის მეურნეობაში, სადაც ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ სწორედ ბიოლოგიურად სუფთა, ეკოლოგიური პროდუქტის წარმოებაზე. ჩემი პირადი ამოცანაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, რეალურად გადასახადებისგან გავათავისუფლოთ სრულად ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, – განაცხადა ბახტაძემ.

ბიძინა ივანიშვილის ცრუ განცხადება



ბიძინა ივანიშვილის ხეებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით გაფართოებული გზები. ერთი შეხედვით, გზები შენდება, თუმცა, საბუთების შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ ამ მშენებლობის საბოლოო მიზანი არა მოსახლეობის კეთილდღეობა, არამედ ბიძინა ივანიშვილის ეზოში ხეების გადატანაა.

დოკუმენტებით ირკვევა, რომ აჭარაში, სოფელ ზენითში, ახალი გზა 2016 წელს გააკეთეს და ამაში ბიუჯეტიდან 762 ათას ლარზე მეტი დახარჯეს, თუმცა, უკვე აშენებული გზის ხელახლა აშენება ბიძინა ივანიშვილის ხეების გამო გადაწყვიტეს.

იმის გამო, რომ სოფლის ახალი გზა ვიწრო იყო და ბიძინა ივანიშვილის შერჩეულ ხეებს ვერ გაატარებდა, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გზა 9 მეტრამდე გააფართოოს. ხეებისთვის გზის რეკონსტრუქცია ხალხს 2 მილიონამდე ლარი დაუჯდება.

გადათხრილი და მიტოვებულია ჩაქვი-მახინჯაურის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორია. პროექტის მიხედვით, იქ შემოვლითი გზა უნდა აშენებულიყო, რისთვისაც ბიუჯეტიდან 8 მილიონი ლარი გამოიყო.

იმაზე, რომ გზა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ხეების ტრანსპორტირებისთვის კეთდებოდა, ოპოზიცია თავიდანვე ლაპარაკობდა. მაშინ მთავრობა ამბობდა, რომ ეს მოსახლეობის საკეთილდღეოდ ხდებოდა. გზა კი სანახევროდ გაიყვანეს იმ ადგილამდე, სადაც ივანიშვილის ხეები იდგა.

გზა არსებობდა, მაგრამ ბიუჯეტის ფულით გააფართოვეს დაბა ოჩხამურშიც. ახლა ამ სოფელს თანამედროვე ტიპის პრაქტიკულად ავტობანი აქვს, რომელიც, ადგილობრივების თქმით, არ სჭირდებოდათ.

რუსთავი 2

რა ხდება და რა შეიცვლება „აწარმოე საქართველოში“

მაისიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, მიხეილ ხიდურელი.

იგი იყო ბიზნესსაკონსულტაციო კომპანიის შავვჯ თანადამფუძნებელი და კომპანია „Saunders Group“ ბიზნესის განვითარების დირექტორი, ასევე იყო სტარტაპ კომპანიაში „Drive Shift“ დირექტორის მოადგილე და საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელადაც მუშაობდა. გახლდათ ლონდონსა დანიუდოჰა შიSHARD-ის ცათამბჯენის პროექტის მენეჯერი.

რა ხედვებით მივიდა მიხეილ ხიდურელი „აწარმოე საქართველოში“ და რა გეგმები აქვს მომავალში – ამ კითხვებზე რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის დრო სანდრო ვეფხვაძესთან“ უპასუხა.

– სააგენტო მუშაობს ორი მიმართულებით, ერთია მეწარმეობის განვითარება, სადაც ვაკეთებთ სესხის სუბსიდირებას და ვეხმარებით მეწარმეებს ახალი საწარმოების გახსნაში, ხოლო მეორე გახლავთ საინვესტიციო პროექტების კონსოლიდირების პროექტი, რომლის მიზანიცაა იმ კერძო საინვესტიციო პროექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ქვეყანაში საკმაოდ ბევრია. საქართველოში გვაქვს სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები, თუმცა აუცილებელია, რომ არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ამით და ყოველ ჯერზე, როცა ინვესტორთან მივდივართ, გვქონდეს სრული ბაზა იმ კერძო საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომლებიც, მაგალითად, აქვთ საკონსულტაციო კომპანიებს, ან უბრალოდ კერძო ბიზნესმენებს. შესაბამისად, კრიტერიუმები გვაქვს გაწერილი. კრიტერიუმები მარტივია იმ თვალსაზრისით, რომ საინვესტიციო პროექტს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური დოვლათი და სოციალური გავლენა, ასევე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. რეგისტრაცია უკვე დაწყებული გვაქვს, ვგეგმავთ, პირველი ეტაპი დავასრულოთ თვის ბოლოსთვის და გადავარჩიოთ ისინი. ასევე ვმუშაობთ, რომ ყველა პროექტი ვებგვერდზე გვქონდეს, სადაც დეტალურად იქნება ინფორმაცია მათ შესახებ წარმოდგენილი.

ჩვენ გვაქვს გაწერილი კალენდარი დეკემბრის ჩათვლით და ვაპირებთ წავიდეთ იტალიაში. როცა როუტე სჰოწ-ებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ, რომ აქ ჩართული გვყავს კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, ხოლო ბიზნესფორუმების დროს ერთვება ყველა სექტორი, მათ შორის სახელმწიფო და სხვა სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, ასევე მიგვყავს კერძო სექტორი.

– როგორ ხდება საინვესტიციო პროექტის წარდგენა მეწარმეების მხრიდან ინვესტორებთან?

– არის ერთი გაწერილი პროცედურა: საინვესტიციო პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ჩვენ მას განვიხილავთ, თუ პროექტმა დააკმაყოფილა კრიტერიუმები, იგი მოხვდება ჩვენს რადარზე. მუდმივად ვაკეთებთ ბიზნესფორუმებსა თუ შოუებს, სადაც ყოველთვის ჩამოდიან ინვესტორები. შესაბამისად, ვიცით, რომ, მაგალითად, თუ ფეხსაცმელების წარმოების სექტორია ჩამოსული, რომელიც ეძებს პარტნიორს, მას ვახვედრებთ მეწარმეს და ვუცხადებთ სრულ მხარდაჭერას. ინვესტორები ძირითადად არასდროს აკეთებენ პირდაპირ ინვესტიციას, ისინი ეძებენ პარტნიორებს.

– ვინ არიან პოტენციური ინვესტორები?

– გვყავს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ინვესტორები. მაგალითად, ბოლოს პოლონეთში ვიყავით ბიზნესფორუმზე, სადაც შევხვდით სპეციალური ტანსაცმელებისა და უნიფორმების მწარმოებელ, ძალიან მსხვილ პოლონურ კომპანიას. მათ ვესაუბრეთ საქართველოს პოტენციალზე. სექტემბერში ჩამოდის კომპანიის წარმომადგენელი და ჩვენც ვეძებთ მათთვის ქართველ პარტნიორს.

– როგორ მუშაობს მიკროგრანტების პროგრამა?

– მიკროგრანტების პროგრამა იმაზე ბევრად წარმატებულად მუშაობს საქართველოში, ვიდრე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, ავსტრალიას ჰქონდა მსგავსი პროგრამა, სადაც გრანტები გაიცა და ქვეყანაში, ამ დაფინანსებული მეწარმეების 60% დღემდე მუშაობს. საქართველოში ეს პროცენტული მაჩვენებელი არის 80%, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ მეწარმეების 80%, რომლებმაც მიიღეს ჩვენგან მიკროგრანტები, დღესაც ფუნქციონირებენ, მუშაობენ და ფიქრობენ გაფართოებაზე.

მიკროგრანტებს ჰქონდა რამდენიმე კუთხით სარგებელი – ერთი იყო ის, რომ მეწარმეული სულისკვეთება ამაღლდა რეგიონებში და მეორე, ადამიანები, რომლებიც რეგიონებიდან თბილისში მიგრაციას გეგმავდნენ, დარჩნენ იქ, სადაც ცხოვრობდნენ და დაიწყეს ბიზნესი. ამის მაგალითია შატილი, პანკისი, სადაც გაიხსნა კაფეები და ჰოსტელები, რომლებიც მასპინძლობენ ტურისტებს. ამდენად, ამ პროგრამას ბევრი დადებითი მხარე აქვს. როცა ერთი მეზობელი იწყებს ბიზნესს, მეორე გაიგებს ამის შესახებ და ისიც ერთვება. შესაბამისად, სურვილი ხდება ყოვლისმომცველი.

ამ ეტაპზე მის დახვეწაზე ვმუშაობთ, გვინდა, რომ გრანტების პროგრამა 20 ათას ლარამდე ავიდეს. პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას ვიდეორგოლებით მოვახდენთ.

– რამდენი ბენეფიციარი ჰყავს „აწარმოე საქართველოში“?

– მიკროგრანტების პროგრამით 5 ათასამდე ბიზნესუბიექტია დაფინანსებული და 8500-მდე ადამიანია დასაქმებული. საბოლოო ჯამში, 40 მილიონია გაცემული გრანტების სახით.

რაც შეეხება, სტატისტიკას, დაფინანსებულია 372 საინვესტიციო პროექტი და 15 ათასამდე ადამიანია დასაქმებული. მთლიანად აწარმოეს ყველა პროგრამაზე ჯამური ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 900 მილიონ ლარს. მათ შორის, სასტუმროების რაოდენობა არის 49.

ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი კომპონენტი – „უმასპინძლე საქართველოში“, სადაც ვახდენთ სესხების 10%-ის სუბსიდირებას, ასევე 50%-იან საბანკო გარანტიას, 3 ათას ლარამდე ფრენჩაიზინგისა და მენეჯმენტის გადასახადების ანაზღაურებას, თუკი მეწარმე გადაწყვეტს, რომ სურს, მის სასტუმროს ოპერირება გაუკეთოს საერთაშორისო ბრენდმა, რაც ძალიან საინტერესოა.

თუ გადავხედავთ იმ კომენტარებს, რასაც ჩვენი ბენეფიციარები აკეთებენ, ეს პროგრამა მათთვის და მათი გამბედაობისთვის არის ძალიან კარგი, რადგან მათ დამატებითი სტიმული და მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფოს მხრიდან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დაასრულებს თუ არა თბილისის განვითარების გენერალური გეგმა დედაქალაქის ქაოტურ განაშენიანებას

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის განახლებაზე კონკურსი 2015 წლის მაისში გამოაცხადა. კონკურსში იურიდიულ პირთა გაერთიანება „მომავლის ქალაქმა“ გაიმარჯვა. გენერალურ გეგმაზე, გაერთიანებაში შემავალმა ორგანიზაციამ – „სითი ინსტიტუტი-საქართველომ“ იმუშავა. „მწვანე ქალაქი“, „კომპაქტური ქალაქი“, „კარგად შეკავშირებული ქალაქი“ – ეს თბილისის განვითარების გენერალური გეგმის ძირითადი მიმართულებებია.

თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაზე მუშაობა „სითი ინსტიტუტმა“ 2017 წლის ზაფხულში დაასრულა . მიუხედავად ამისა, დოკუმენტის მიღების პროცესი გაჭიანურდა. თბილისის მერიას გენგეგმასთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები ჰქონდა. შენიშვნები, ძირითადად, ზონირების, ტრანსპორტის განვითარების და გამწვანების საკითხებს შეეხებოდა.

გენერალური გეგმის ჩასწორებული ვარიანტი მერიას 2018 წლის 3 იანვარს წარედგინა. თუმცა, კახა კალაძემ დოკუმენტი არ მოიწონა და აღნიშნა, რომ „სითი ინსტიტუტ-საქართველოს“ მიერ წარდგენილი გენგეგმა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი და მთელი რიგი მიმართულებით სამუშაოები იყო გასაწევი. „სითი ინსტიტუტ-საქართველოს“ დოკუმენტის სრულყოფისთვის დამატებითი ვადა მიეცა. მიმდინარე წლის 4 ივლისს, თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაზე ხანგრძლივი მუშაობის პროცესი, საბოლოოდ დასრულდა და ის დასამტკიცებლად ქალაქის საკრებულოს გადაეგზავნა.

ფაქტ-მეტრი დაინტერესდა, თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაში საბოლოოდ რა ცვლილებები და დაზუსტებები შევიდა.

„სითი ინსტიტუტის“ დირექტორ მამუკა სალუქვაძის ინფორმაციით, მერიის ძირითადი პრეტენზია ზონირების საკითხებს, თემატური რუკების დაზუსტებასა და კერძო საკუთრების პრობლემის გადაწყვეტას შეეხებოდა. მისი განმარტებით, ზონირების საკითხების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა მოხდა.

– სატყეო ტერიტორიას, ახალი გენგეგმით, დაემატა 12.048 ჰა. გარდა ამისა, რეკრეაციულ ზონა 1-ს 462 ჰა დაემატა. ჯამში, რეკრეაციული ზონის რაოდენობა 4%-ით არის გაზრდილი. ამასთან, რეკრეაციული და გამწვანებული ტერიტორიების ბალანსში არ შევიყვანეთ არსებული შიდაკვარტალური გამწვანების, გაზონების და მცირე ზომის მწვანე ტერიტორიების ჯამური ფართობი, ეს ჩვენ თემატური რუკის სახით გვაქვს წარმოდგენილი, რათა ამ ტერიტორიების დაცვა მოხდეს მშენებლობისგან, – განაცხადა სალუქვაძემ.

მან, ასევე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სულ კერძო მფლობელობაში არსებულ 3 მლნ კვ2 მიწის ფართობს (300 ჰა) შეეცვალა ზონა. შესაბამისად, წარმოშობილი ქონებრივი საკითხების მოგვარება მესაკუთრეთა უფლებების მაქსიმალური გათვალისწინებით მოხდება. აღნიშნული ნაკვეთების ან ადგილმონაცვლეობა, ან გამოსყიდვა განხორციელდება.

ასევე, საყურადღებოა, განახლებული გენგეგმის დამოკიდებულება ელიავას ბაზრობის, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის და შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით.

მამუკა სალუქვაძის თქმით, „თბილისში გამოიყო 11 ლოკაცია, სადაც დროებით შეჩერებულია სამშენებლო ნებართვების გაცემა. ასეთ ტერიტორიას განეკუთვნება ელიავას ბაზრობა და თბილისის ზღვის მიდებარე ტერიტორია. ამ ლოკაციებისთვის აუცილებელი იქნება ჩარჩო-გეგმის შემუშავება და სწორედ ჩარჩო-გეგმა განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიების შემდგომი განაშენიანების პერსპექტივას. მისივე ინფორმაციით, ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია არის კერძო საკუთრება, გარდა ამისა, იქ არის სატრანსპორტო, ეკოლოგიური და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები. ყველაფრის შესწავლა და ასახვა მოხდება ჩარჩო-გეგმაში და კვლევების საფუძველზე გადაწყდება, ბაზრობის ტერიტორიაზე სად რეკრეაციული ზონა მოეწყობა, სად გამწვანება და სად სავაჭრო ცენტრი აშენდება“. სალუქვაძის განმარტებით, იგივე მიდგომაა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით, იმ განსხვავებით, რომ თბილისის ზღვა არის სასმელი წყლის რეზერვუარი – წყალსაცავი ზონა და განსაკუთრებული დაცვის სისტემას საჭიროებს. ტერიტორიის კვლევა უკვე მიმდინარეობს, რის შედეგადაც დადგინდება ტერიტორიის დამცავი ზონები.

– რაც შეეხება რკინიგზას, ჩვენ სატრანსპორტო დერეფანი დავტოვეთ. მთავრობის და რკინიგზის მიერ დამატებითი კვლევები უნდა ჩატარდეს, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს თუ რა სახით შენარჩუნდება რკინიგზა ქალაქში. ჩვენი რეკომენდაციაა სატვირთო რკინიგზა ქალაქიდან გავიდეს, სამგზავრო დანიშნულების დარჩეს, ოღონდ მატარებელი გაივლის, ტრამვაი თუ ენბასი (საქალაქთაშორისო ტრანსპორტი მცხეთის, თბილისის, რუსთავის, გარდაბნის შემაკავშირებელი) მერიის გადასაწყვეტია, – აცხადებს მამუკა სალუქვაძე.

ასევე საინტერესოა, რომ ახალი გენერალური გეგმის მიხედვით, თბილისს 900 ჰა მწვანე სივრცე დაემატება – გლდანის ხევის სამეზობლო მნიშვნელობის პარკი, დიდი დიღმის საპარკო ზონა, ფონიჭალის საუბნო საპარკო ზონა, ვერეს საპარკო ზონა, მდინარე თემქისხევის საპარკო ზონა, იპოდრომის სარაიონო მნიშვნელობის მწვანე სივრცე, დიღმის ჭალები და ა.შ.

ამგვარად, სამწლიანი მუშაობის შედეგად, თბილისს უკვე აქვს გენერალური გეგმა, რომელმაც ქალაქის შემდგომი განვითარება უნდა უზრუნველყოს. თბილისის მერიამ დოკუმენტი უკვე მოიწონა და განსახილველად საკრებულოს გადაუგზავნა. საკრებულოს მიერ დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, თბილისის გენერალური გეგმა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა.

რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ სასურველია თბილისის განვითარების გენერალური გეგმა სამართლებრივ დოკუმენტად იქცეს, რომელიც დედაქალაქში შექმნილ ურბანულ ქაოსს დაასრულებს და სამომავლოდ მაინც თბილისის სწორად განვითარებას უზრუნველყოფს.

რა ცვლილებები იგეგმება „საქართველოს რკინიგზის“ მართვის სისტემაში?

სს „საქართველოს რკინიგზა“ ქართული კანონმდებლობის ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობს.

როგორც BM.GE-ს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიულ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აკაკი საღირაშვილმა განუცხადა, „საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“ მოძველებულია და მისი განახლებისთვის აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

– ევროდირექტივების დანერგვის თვალსაზრისით ყოველ წელს ჩვენ შესასრულებელი ვალდებულებები გვაქვს. კანონპროექტები მზადდება და შესაბამის უწყებებს ეგზავნება. ჩვენ ჩვენი ხედვა გავაცანით ეკონომიკის სამინისტროს, თუ რა ცვლილებები უნდა შევიდეს „სარკინიგზო კოდექსში“, რომ ევროდირექტივები ეტაპობრივად დაკმაყოფილდეს. მოგეხსენებათ, ევროდირექტივებთან რვა ნორმატიული აქტის ჰარმონიზაცია უნდა განხორციელდეს და ყველა დირექტივას თავისი შესრულების ვადა აქვს. ამ ვადებს ჩვენ ვიცავთ. წელს მაგალითად, მგზავრთა საჯარო გადაყვანის შესახებ ვალდებულების რეგულაცია უნდა დაინერგოს. ამისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი უკვე მომზადებულია და წარდგენილია ეკონომიკის სამინისტროსთვის, – განაცხადა აკაკი საღირაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, სარკინიგზო დარგში, საერთო ჯამში, 2022 წლისთვის, ქართული საკანონმდებლო სივრცე და მისი პრაქტიკული კომპონენტები, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადაპტირებული უნდა იყოს.

როგორც აკაკი საღირაშვილი განმარტავს, დაგეგმილი ცვლილებები რკინიგზის მენეჯმენტის სტრუქტურასაც ეხება.

– დღეს რკინიგზა მონოლითური ორგანიზაციაა, სადაც გაერთიანებულია სამი ძირითადი ბიზნესერთეული – სამგზავრო გადაყვანები, სატვირთო გადაზიდვები და ინფრასტრუქტურა. ევროპული მიდგომა არის, რომ ფინანსურად უნდა გაიმიჯნოს რკინიგზაში ეს სამი ერთეული. შეიძლება, სამართლებრივადაც. ამის შესახებ თვით ევროპაშიც ცხრა სხვადასხვა მოდელი არსებობს.

გარდა ამისა, ცალკე უნდა არსებობდეს რკინიგზის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობებს სუბიექტებს შორის. ისევე როგორც, დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს რკინიგზის უსაფრთხოების მასერტიფიცირებელი ორგანო.

ევროდირექტივები ასევე მემანქანეთა ლიცენზიის მოპოვების განსხვავებულ ხედვას ითვალისწინებენ და მას – არა რკინიგზა, არამედ სულ სხვა ორგანო უნდა გასცემდეს, – აღნიშნა მან.

ამასთან, აკაკი საღირაშვილის ინფორმაციით, ევროპული კანონმდებლობა ბაზარზე ოპერატორების არადისკრიმინაციულ დაშვებასაც მოითხოვს.

– ოპერატორი შეიძლება, იყოს სამგზავრო და სატვირთო. ვინაიდან სამგზავრო ოპერატორი ევროპაშიც კი წამგებიანია, აქ სახელმწიფო აკეთებს სუბსიდირებას, აცხადებს აუქციონს და ვინც გაიმარჯვებს, ის ხდება სამგზავრო ოპერატორი. სატვირთო ოპერატორი კი, რომელიც თითქმის ყველგან მომგებიანია, ბაზარზე კონკურენციის შედეგად ირჩევა და ეს ერთის მხრივ, ფასისა და ტარიფის ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა და, მეორე მხრივ, ხარისხს ამაღლებს, – აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“ პარლამენტმა 2002 წელს მიიღო და მასში ბოლო ცვლილება 2012 წელს განხორციელდა.

BM.GE

რა ხდება და რა შეიცვლება „აწარმოე საქართველოში“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– რამდენად აქტიურად ერთვებიან რეგიონები?

– რა თქმა უნდა, აქტიურობა ცენტრალურ ქალაქებში უფრო მეტია. სწორედ ამიტომ არის პროგრამები „უმასპინძლე საქართველოში“ და მიკრო გრანტების პროგრამა გათვლილი რეგიონებზე. რეგიონების გასააქტიურებლად ჩვენ დავიწყეთ ახალი ეტაპი და დავმეგობრდით ფესტივალ „ფუძეობასთან“, რომელიც „ჩექინ ჯორჯიას“ დაფინანსებით ხორციელდება. „ფუძეობასთან“ ერთად ყველა რეგიონში გვექნება სამეწარმეო მარკეტი და ინფო ტური, სადაც ჩვენ იმ რეგიონის ბიზნეს სუბიექტებს გავაცნობთ ყველა სახელმწიფო პროგრამას, რათა მათ იცოდნენ პროგრამების დეტალური პროცედურები. ბათუმსა და ბაკურიანში უკვე გვქონდა ასეთი სამეწარმეო მარკეტი და ინფოტური, მივდივართ მესტიაში, რომ უკვე სვანეთშიც გვქონდეს. ოქტომბრის ბოლომდე მოვიცავთ უკვე ყველა რეგიონს.

– შესაძლებელია თუ არა, რომ რამდენიმე ბენეფიციართან გადაიხედოს ურთიერთობა?

– ამაზე ლაპარაკიც არ არის, რადგან ყველა პროგრამა და ბენეფიციარი დაფინანსებულია თანაბარი პირობებით. ეს იყო შავი კამპანია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება, იყო ნათქვამი, რომ „აწარმოე საქართველოში“ კერძო კომპანიების სესხების 10% -ის სუბსიდირებას აკეთებსო. ჩვენ სესხების 10%-ის სუბსიდირებას ვაკეთებთ ყველა ჩვენს ბენეფიციარზე. ეს არის ჩვენი პროგრამის მთავარი აზრი, ამიტომ წლის ბოლომდე გვექნება იმ ბენეფიციარების ანალიზი, რომლებიც დაფინანსდნენ. ანალიზი იქნება იმისთვის, რომ გავიგოთ, რა გავლენა ჰქონდა ჩვენს დახმარებას მათ ბიზნესზე და ამის რეზულტატის პრეზენტაციას მოვახდენთ.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– ვაპირებთ, რომ სექტემბრისთვის შევქმნათ ბიზნესგანათლების ცალკე განყოფილება, რომელიც იმუშავებს ყველა მიმართულებით. გვექნება ასევე მასტერკლასები და სასერტიფიკატო პროგრამები, რომლებიც წელს უკვე დაგეგმილი გვაქვს. ამასთანავე, ნებისმიერ დროს, როდესაც ინვესტორს დაველაპარაკებით, ვანახვებთ ჩვენს შეთავაზებას და შეთავაზებაშივე იქნება ჩადებული გადამზადება, ჩვენივე ხარჯებით. მაგალითად, თუ ინვესტორი გადაწყვეტს, რომ სამკერვალოს გახსნას, ჩვენ მას გადავუმზადებთ თანამშრომლებს, გვექნება

გვაქვს ასევე „ქართულია და კარგიას“ პიარკამპანია, რომელიც იქნება მრავლის მომცველი, მაგალითად, ჩვენ უკვე ვთანამშრომლობთ კომპანია სპარ თან, სადაც ყველა ფილიალში განთავსდება ქართული პროდუქციის სივრცე. ჩვენს მიკრომეწარმეებს და ბენეფიციარებს კი საკმაოდ დიდ ფართობზე ექნებათ საშუალება, განათავსონ თავიანთი პროდუქცია.

კომერსანტი

გიორგი მაისურაძე: „ინფრასტრუქტურული პრობლემები ტურიზმის ხარისხიან განვითარებას აფერხებს“

– რაც პირადად მახსოვს იმ პერიოდთან შედარებით დღეს ქვეყანაში საუკეთესო ბიზნესგარემოა, რადგან მთავრობასა და ბიზნესმენებს შორის ურთიერთობის კარგი ფორმა ჩამოყალიბდა, – ამის შესახებ „კომერსანტს“ „ლოპოტა სპა რეზორტის“ დამფუძნებელმა გიორგი მაისურაძემ განუცხადა.

თუმცა გიორგი მაისურაძე მიიჩნევს, რომ სასტუმრო ბიზნესს დღეს გარკვეული სახის პრობლემები მაინც აქვს და სახელმწიფომ ამ მიმართულებით უფრო სწრაფი ნაბიჯები უნდა გადადგას. მისი აზრით, ტურისტულ ბიზნესში წარმატების მიღწევა მარტივი არ არის.

სასტუმროს დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ კახეთის მიმართ ინტერესი დროთა განმავლობაში იზრდება. ხოლო, ეს პროცესი ჯანსაღ კონკურენციას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ძალიან სასარგებლოა, როგორც კერძო ბიზნესის, ისე რეგიონის განვითარებისთვის.

– ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემა არსებობს და ეს ტურიზმის ხარისხიან განვითარებას აფერხებს, ასევე ტრანსპორტის გამართულობის პრობლემა და ტაქსის კომპანიების ტარიფების საკითხი კერძოდ, ადამიანმა ზუსტად უნდა იცოდეს A პუნქტიდან B პუნქტამდე გადაადგილება რა დაუჯდება.

სახელმწიფოსთან ამ თემებზე კონსულტაციები გვაქვს, თუმცა პროცესები ნელა მიმდინარეობს ეს გაცილებით სწრაფად უნდა მოხდეს, რადგან ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, – განაცხადა მაისურაძემ.

„ლოპოტა სპა რეზორტის“ დამფუძნებლის თქმით, დღეს სასტუმრო ბიზნესში დიდ და უპირველეს გამოწვევად კვლავ კვალიფიციური კადრების პრობლემა ითვლება.

– ბაზარზე პროფესიონალი კადრების დეფიციტია, რადგან ცოტა პროფესიონალი კადრია. საკადრო საკითხებზე მუდმივად ბრძოლის რეჟიმში ვართ, – აღნიშნა მაისურაძემ.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ქვეყანაში სასტუმრო ბიზნესი რამდენ წელში განვითარდება? მაისურაძე გვპასუხობს, რომ „გააჩნია, სახელმწიფო როგორ იმოქმედებს. ჩვენ თუ სწრაფად ვიმოქმედებთ შესაძლოა 5 წელში შევძლოთ, ხოლო თუ ნელა შესაძლოა საერთოდ ვერ გავაკეთოთ.“

ამ ეტაპზე „ლოპოტა სპა რეზორტში“, ჯამში, 250 ადამიანია დასაქმებული. აქედან 90% (200-მდე) ადგილობრივია.

ავღანეთში 4 ქართველი ჯარისკაცის წინააღმდეგ ამერიკულმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო

ავღანეთში დისლოცირებული რამდენიმე ქართველი ჯარისკაცის წინააღმდეგ ამერიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს. ბაგრამის სამხედრო ბაზიდან კურიერს წყარო უყვება, რომ ქართველი სამხედროებს ქურდობას სდებენ ბრალად.

წყაროს ცნობით, ქართველმა ჯარისკაცებმა სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან ნივთები მოიპარეს, რომლებიც შემდეგ, ჩხრეკის დროს, მათ ყაზარმებში იპოვეს. ნივთების ნაწილი ბაზის ტერიტორიიდან იყო გატანილი და ქაბულის ბაზრობაზე იყიდებოდა.

წყარო ბაგრამის ბაზიდან კურიერს წერს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჯარისკაცები მსგავს დანაშაულში ამხილეს, თუმცა, ამჯერად ნატოს ბაზის სამხედრო ხელმძღვანელობამ ქართველი სამხედროების სამაგალითო დასჯის გადაწყვეტილება მიიღო და გამოძიება დაიწყო.

ჯარისკაცები გამოკითხვაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციამ გადაიყვანა.

პოლკოვნიკმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილემ, ნიკოლოზ ჯანჯღავამ, კითხვას, ფლობს თუ არა ინფორმაციას ქართველი სამხედროების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, არ უპასუხა.


კახა ტაბატაძე

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, არჩილ ომიაძემ კი კურიერთან საუბარში აღნიშნა, რომ მას ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით არა აქვს.

– ვერ გეტყვით ვერაფერს, თქვენგან გავიგეთ პირველად, – განაცხადა არჩილ ომიაძემ.

პოლკოვნიკი, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, კახა ტაბატაძე, ადასტურებს, რომ ქართველი სამხედროები გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ.

კახა ტაბატაძის განცხადებით, პირველადი ინფორმაციით, ქურდობის ფაქტებსა და სავაჭრო ობიექტში მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, სადაც სხვა ქვეყნის სამხედროებთან ერთად, ქართველი სამხედროების სავარაუდო მონაწილეობაზეა საუბარი.

– პირველადი ინფორმაციით, სხვადასხვა დროს განხორციელებულ ქურდობის ფაქტებში და სავაჭრო ობიექტში მიყენებულ ზარალში იკვეთება დანაშაული სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების და, მათ შორის, 4 ქართველი სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით. აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები ჩვეულებრივად იმყოფებიან ბაზაზე, არავინ არ არის დაკავებული, ჩვეულებრივად აგრძელებენ სამსახურს. მე კონტაქტი არ მქონია უშუალოდ, პირადად, ისინი იმყოფებოდნენ პირველ ეტაპზე ამერიკული მხარის სამხედრო პოლიციასთან მხოლოდ გამოკითხვაზე, – განაცხადა ტაბატაძემ. პოლკოვნიკის თქმით, თუ გამოიკვეთება ქართველი სამხედროების დანაშაული, მაშინ მათ საქართველოში დააბრუნებენ.

– როგორც კი მასალები გადმოეცემა ქართულ მხარეს, თუკი გამოკვეთს ქართული სამხედრო პოლიცია ამერიკულ სამხედრო პოლიციასთან კოორდინაციით, რომ აღნიშნულ 4 სამხედრო მოსამსახურეს რაიმე ბრალი მიუძღვის აღნიშნულ ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ისინი იქნებიან დაბრუნებული საქართველოში.

ფაქტი მტკიცნეულად არის აღქმული მთელი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და ავღანეთში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენლობის და მთლიანად პირადი შემადგენლობის მიერ, – განაცხადა კახა ტაბატაძემ.

თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძეს გაუპატიურებისა და კიდევ 6 ახალი ბრალი წაუყენეს

თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ საზარელ მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძეს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

გაირკვა, რომ მამინაცვალს, რომელსაც 25 წლის გერის, თამარ გამრეკელაშვილის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას ედავებიან, 7 ახალი ბრალი წაუყენეს, მათ შორისაა გაუპატიურება.

გამოძიება 50 წლის მამაკაცს თამარ გამრეკელაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას, სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას, ძალადობას, მუქარას, გაუპატიურებასა და ქორწინების იძულებას ედავება.

აქედან ბრალდებულს გამრეკელაშვილის მკვლელობის ეპიზოდთან დაკავშირებით მხოლოდ ორი ბრალდება აქვს წაყენებული.

სისხლის სამართლის კოდექსის 6 სხვადასხვა მუხლი კი მოკლულის დედის, ნათელა გობაძის მიმართ ჩადენილ დანაშაულებს ითვალისწინებს.

ბრალდებული ბრალდების არც ერთ ეპიზოდს არ აღიარებს და კვალიფიკაციის შეცვლას ითხოვს.

საქმეზე პირველი არსებითი სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 აგვისტოს ჩატარდება.

ნიუს თიეი

ტრანსგენდერი ქალი ამანდა სამმა ქართველმა სამხედრომ ცემა

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი სამხედრო ტრანსგენდერი ქალის ცემაშია ბრალდებული. მძიმე დაზიანებები ტრანსგენდერ ქალს, კურიერის ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამმა სამხედრომ მიაყენა.

სექსმუშაკ ამანდას ჯარისკაცები თავს იმ დროს დაესხნენ, როდესაც ორთაჭალაში თავის სამუშაო ადგილას იმყოფებოდა. ტრანსგენდერი ქალის მტკიცებით, შეიარაღებული ძალების მთვრალი თანამშრომლები მისმა იდენტობამ გააღიზიანა.

მამაკაცები რომ ნამდვილად თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ, ამას თავად დაზარალებული სექსმუშაკიც ადასტურებს.

ამანდას მტკიცებით, ისინი სექსმუშაკს უყვიროდნენ, რომ საპატრულო პოლიციის გამოძახებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ძალოვან უწყებაში მუშაობდნენ.

დაზიანებების მიუხედავად, ტრანსგენდერმა ქალმა ადგილზე პოლიციის გამოძახება მოახერხა. ორთაჭალაში მისულმა სამართალდამცველებმა სამხედროები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლით დააკავეს, ტრანსგენდერი ქალი კი მძიმე დაზიანებებით მეგობრებმა ნიუჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ტრანსგენდერი ქალები ამტკიცებენ, რომ კლინიკაში ამანდას სამედიცინო დახმარება მისი იდენტობის გამო არ აღმოუჩინეს. ბრალდებებს კლინიკაში უარყოფენ და ამბობენ, რომ ტრანსგენდერმა ქალებმა კლინიკა საკუთარი სურვილით მას შემდეგ დატოვეს, რაც სამედიცინო პერსონალმა ვიდეოგადაღების შეწყვეტა მოსთხოვა.

კურიერმა თავდაცვის სამინისტროს იმ თანამშრომლების ვინაობა გაარკვია, რომლებმაც ტრანსგენდერ ქალზე იძალადეს. დიმიტრი ჭულუხაძე, ტარიელ მილდიანი და ბაკურ გურჩიანი ინციდენტიდან მეორე დღეს სასამართლომ, გაფრთხილების სანაცვლოდ, დარბაზიდან გაათავისუფლა. ისინი შეიარაღებულ ძალებში მუშაობას ამ დრომდე განაგრძობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეროვნული გვარდიის სამი თანამშრომლის მიმართ გამოძიება 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო, თუმცა, სისხლის სამართლის საქმეს ჯერ ბრალდებული არ ჰყავს.

ტრანსგენდერი ქალები მოძალადეების დაუყოვნებლივ დაკავებას ითხოვენ.

ძარცვა და დაჭრა ისანში

პოლიციამ არასრულწლოვანი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის მცდელობის, ძარცვის, პოლიციელისთვის სამსახურებრივი მოვალეობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე 2 პირი დააკავა.

სამართალდამცველებმა 2001 წელს დაბადებული ი.ს. განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ძარცვის ბრალდებით, ხოლო 1998 წელს დაბადებული მ. ბ. პოლიციელისთვის სამსახურებრივი მოვალეობის ძალადობით ხელის შეშლის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.ს-მ, 28 ივლისს თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ქუჩაზე, მოქალაქეს საფულე გასტაცა.

მძარცველის დაკავებას შემთხვევის ადგილზე მყოფი, 1992 წელს დაბადებული ლ.ლ. შეეცადა, რომელსაც ი.ს.-მ ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვა ცადა, როდესაც იგი პოლიციამ დააკავა.

დაკავების დროს ი.ს-ს თანმხლებმა, 1998 წელს დაბადებულმა მ.ბ.-მ პატრულ-ინსპექტორს წინააღმდეგობა გაუწია და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც სამართალდამცველებმა ის შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

დაჭრილი ლ.ლ. სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადის თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ი.ს.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო მ.ბ.-ს 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის, ძარცვის, პოლიციელისთვის სამსახურებრივი მოვალეობის ძალადობით ხელის შეშლისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე, 178-ე და 353-ე მუხლებით.

დააკავეს ნარკორეალიზატორი ცოლ-ქმარი

სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით ცოლ-ქმარი დააკავეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

კერძოდ, უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით ცოლ-ქმარი, 1968 წელს დაბადებული გ.გ. და 1964 წელს დაბადებული ი.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა აღნიშნული პირებისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა განახორციელეს.

პოლიციამ ორივე პირის მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

ი.გ.-ს ბრალი ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და არაერთგზის გასაღების ფაქტზე, გ.გ.-ს კი – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საბერძნეთში ქართველი ჩემპიონი შმაგი სონიშვილი, იგივე ტარიელ ზინდირიდისი, დააკავეს

ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონის დასაკავებლად ათენის გარეუბანში სპეცოპერაცია ჩატარდა. ბერძენმა სამართალდამცველებმა 23 ბინის გაქურდვის ბრალდებით საბერძნეთში მცხოვრები 31 წლის ქართველი სპორტსმენი ტარიელ ზინდირიდისი, იგივე შმაგი სონიშვილი, აიყვანეს.

სპეცოპერაციის დროს დაიჭირეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი კიდევ ერთი ქართველი, რომელსაც ბრალად ასევე სახლების ძარცვა ედება.

ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ის ხელსაწყოები ამოიღეს, რომელთა დახმარებით, ქართველები ბინებში აღწევდნენ. სახლების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ძვირფასეულობა და სხვა ნაქურდალი ნივთები, რომლის ღირებულებაც 95 ათას ევროს აღწევს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დასაკავებლად ჩატარებულ სპეცოპერაციაზე აქტიურად წერს ბერძნული პრესა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ათენსა და მის მიმდებარე ქალაქებში საქმიანობდნენ.

ბერძენი სამართალდამცველების მტკიცებით, დანაშაულებრივ საქმიანობაში ყოფილი სპორტსმენი 2017 წლიდან ჩაერთო.

ტარიელ ზინდირიდისი, რომელიც 12 ივლისს დააკავეს, საბერძნეთის მოქალაქეა და 2003-2007 წლებში ამ ქვეყნის სახელით არაერთ საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მსოფლიო ჩემპიონი ძარცვის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მან შეჯიბრებიდან მიღებული ჰონორარი ბიზნესში დააბანდა და შემოსავალს სწორედ ამ საქმიანობიდან იღებდა.

შმაგი სონიშვილი სოფელ მჭადიჯვრიდან არის. ოჯახი კატეგორიულად გამორიცხავს, რომ სონიშვილი საბერძნეთში დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა.

პუტინმა ტრამპი მოსკოვში დაპატიჟა

იოჰანესბურგში მყოფმა ვლადიმერ პუტინმა კვლავ განაცხადა, რომ აშშ-სთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება სურს. გზა დიალოგისაკენ გახსნილია.

– მზად ვარ, ამერიკაში ჩავიდე. ასევე მზად ვარ, ბატონი ტრამპი მოსკოვში მოვიწვიო, – თქვა პუტინმა.

ამავე დროს, პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არ უნდა იყოს შეხვედრა შეხვედრისათვის. რუსეთ-აშშ-ს შორის უამრავი პრობლემა დაგროვდა და მათი გადაჭრა აუცილებელია. პუტინმა არ დააკონკრეტა, თუ რა პრობლემებს გულისხმობდა, თუმცა შენიშნა:

– ჩემი და ტრამპის შეხვედრა ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების გადაჭრის წინაპირობა შეიქმნება!

ტრამპი ვალში არ დარჩა. მან ასევე გამოთქვა მზადყოფნა, რომ პუტინს შეხვდეს.

– მზად ვარ, პუტინს ვაშინგტონში ვუმასპინძლო, ოღონდ ეს 2019 წელს მოხდება! ასევე მზად ვარ, მოსკოვში ჩავიდე, – თქვა ტრამპმა.

„ჩვენ არ ვივაჭრებთ ბრანსონის თემით“

ერდოღანი აშშ-ს დაემუქრა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, გულწრფელი მეგობარი დაკარგოს, თუკი ვაშინგტონი ანკარისადმი დამოკიდებულებას არ შეცვლის. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა.

– ჩვენ არ ვართ მიბმული აშშ-თან, მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ თუკი არ შეიცვლის საკუთარ დამოკიდებულებას, თურქეთის სახით ძლიერ და გულწრფელ მეგობარს დაკარგავს, – განაცხადა ერდოღანმა, რომელიც გამოეხმაურა ვაშინგტონის განცხადებას ამერიკელი პასტორის ენდრიუ ბრანსონის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით.

ერდოღანის განცხადებით, ანკარას ბრანსონის საქმესთან დაკავშირებით არასოდეს უვაჭრია. მისივე თქმით, თურქეთი უკან არ დაიხევს სანქციების დაწესების მუქარის გამო.

ერდოღანმა ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლების კომენტარებს ამ საკითხთან დაკავშირებით „ფსიქოლოგიური ომი“ უწოდა.

თურქეთში მცხოვრები ენდრიუ ბრანსონი 2017 წელს „თურქეთის მუშათა პარტიასთან“ და „ფეტოსთან“ კავშირების ბრალდებით დააკავეს. მას 25 ივლისს შინაპატიმრობა მიესაჯა. პროკურატურა 35-წლიან სასჯელს ითხოვს.

თეთრ სახლში განაცხადეს, რომ თუკი პასტორს არ გაათავისუფლებენ, თურქეთს სანქციები ემუქრება.

ავღანეთი: თავდასხმა ბებიაქალების სკოლაზე

ქალაქ ჯალალაბადში ტერორისტების ჯგუფი ბებიაქალების სკოლას თავს დაესხა.

დაცვამ მომხდურებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. შემდეგ საქმეში გამოძახებული უშიშროების ძალებიც ჩაერთვნენ.

სროლის შედეგად დაიღუპა 2 ტერორისტი და 2 უშიშროების თანამშრომელი. დაჭრილია 5 სამოქალაქო პირი.

რომის პაპმა კარდინალ მაკარიკის გადადგომა მიიღო

რომის პაპმა ვაშინგტონის ყოფილი არქიეპისკოპოსის, კარდინალ მაკარიკის გადადგომა მიიღო. როგორც ცნობილია, კარდინალს მცირეწლოვანზე სექსუალური ძალადობაში ედება ბრალად.

მაკარიკს ღვთისმსახურება აეკრძალა. პაპის დაჟინებითი მოთხოვნით, მან ცხოვრების დარჩენილი წლები მარტოობაში უნდა გაატაროს და ცოდვები მოინანიოს.

რობერტ კოჩარიანი დაუპატიმრეს

სომხეთის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ექსპრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის დაპატიმრების შესახებ.

ბრალდება 2008 წელს მასობრივი მიტინგის დარბევაა, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

– მე უდანაშაულო ვარ და ტყუილუბრალოდ დამაპატიმრეს. ბოლომდე ვიბრძოლებ და დავამტკიცებ, რომ მტრები ანგარიშს მისწორებენ, – თქვა კოჩარიანმა.

რუსეთში საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ

რუსეთის ქალაქებში საპროტესტო აქციები გრძელდება.

მანიფესტაციები გაიმართა მოსკოვში, ფსკოვში, ტომსკში, ირკუტსკსა და სხვა ქალაქებში. მისი მონაწილენი პუტინის საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ.

აქციების ორგანიზატორი რუსეთის კომუნისტური პარტიაა. მასში მონაწილეობენ „იაბლოკოს“, „ოტკრიტაია როსიას“ წარმომადგენლები, აგრეთვე ნავალნის მომხრენი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„მაკდონალდსის“ თანამშრომელმა და უხეშმა მომხმარებელმა იჩხუბეს

„მაკდონალდსის“ რესტორნის მომხმარებელი შემთხვევით დაწესებულების თანამშრომლისა და მომხმარებლის სასტიკი ჩხუბის თვითმხილველი გახდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში გამოქვეყნდა.

– გოგონამ ჭიქა მოითხოვა და მენეჯერმა გაზიანი სასმელისთვის განკუთვნილი ავტომატი გადაკეტა, ვინაიდან მას არ სურდა, რომ მომხმარებელს უფასოდ დაელია, – აღნიშნულია ვიდეორგოლის კომენტარში.

კადრში ჩანს, თუ როგორ ესვრის მომხმარებელი დაწესებულების თანამშრომელს კოქტეილს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი მას მივარდება და ცემას დაუწყებს. მოჩხუბრების გაშველებას „მაკდონალდსის“ სხვა თანამშრომლები ცდილობენ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. გარდა ღანძღვა-გინებისა, კადრებში ასევე ისმის რესტორნის თანამშრომლის შეძახილი: „დედაჩემი მკვდარი არ არის, პატივი ეცი მას“. როგორც ჩანს, მომხმარებელმა თანამშრომლის დედის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოთქმები იხმარა.

ქალმა ცოფიანი მელა ცალი ხელით გაგუდა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პიტსგროუვის მცხოვრებმა ქალმა ცოფიანი მელა დაახრჩო, რომელმაც ის დაკბინა.

52 წლის ტამი დიუბუას თქმით, ცხოველი მას თავს მისი სახლის ეზოში დაესხა. მელა მოულოდნელად ბუჩქებიდან გამოვარდა და მას ფეხში კბილებით ჩააფრინდა. ქალმა მისგან განთავისუფლება და სახლისთვის თავის შეფარება ცადა, მაგრამ ცხოველი არ ეშვებოდა და მის დაკბენას აგრძელებდა.

დიუბუა მიხვდა, რომ რაიმე უნდა ეღონა. მან ცხოველს ხელი სახეში ჩაავლო ისე, რომ პირის გაღების საშუალებას არ აძლევდა, მეორე ხელი კი ყელში წაუჭირა. რამდენიმე წამში მელას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

– სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, მისი თავიდან მოშორების გარდა, – განმარტა დიუბუამ, – მე სულაც არ მომწონს ვინმეს მოკვლა, თუნდაც ის ცხოველი იყოს.

ქალმა ნაკბენი მოიბანა და შეიხვია, რის შემდეგაც ის მეუღლემ საავადმყოფოში წაიყვანა. მას ორკვირიანი ცოფის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსი დაუნიშნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ეგეოსის ზღვაში 6 ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის 3 ბავშვია

თურქეთის ბალიკესირის პროვინციაში, ეგეოსის ზღვაში ნავის გადაბრუნების შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა და ერთი დაიკარგა.

ამის შესახებ სააგენტო „ანადოლუ“ იუწყება.

სააგენტოს ინფორმაციით, შემთხვევა ეგეოსის ზღვაში, კუნძულ ციპლაკთან მოხდა.

ნავში 16 ადამიანი იმყოფებოდა. მათ შორის იყვნენ ორგანიზაცია „ფეტოს“ წევრები.

დაღუპული ექვსი ადამიანიდან სამი ბავშვია. ცხრა ადამიანის გადარჩენა მოხერხდა.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველომ ბოლოს მოიგო. ვარსკვლავურმა რასინგმა ბრაზილია დაჯაბნა

საქართველო XV-არგენტინა XV 23:22

საქართველო ნაკრებმა არგენტინას მეორე ტაიმში 16 უპასუხო ქულა გაუტანა და ზაფხულის თასის პირველ მატჩში 23:22 იმარჯვა.

შეხვედრა დაძაბული გამოდგა და მისი ბედი 75-ე წუთზე თედო აბჟანდაძემ გადაწყვიტა, რომელმაც 52 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა. სულ ახალგაზრდა მგეზავმა, ჯამში, 13 ქულა მოინაგრა, ნიკოლოზ სუხაშვილმა კი 2 ლელო მიითვალა.

მატჩის დებიუტში ანგარიში გასტონ არიასმა საჯარიმო დარტყმით გახსნა. ამას საქართველოს გააქტიურება მოყვა, ორჯერ ჯარიმა კარში არ დავარტყით და მე-10 წუთზე ლელოს გატანის კარგი შანსი გვქონდა. ფლანგზე მეტობა შეიქმნა და სანდრო სვანიძემ პასი ვერ შეიმაგრა, თუმცა, შერკინების უპირატესობა რომ დაგვიბრუნდა, ნიკოლოზ სუხაშვილმა შეუტია და მისი ლელო აბჟანდაძემ გარდასახა – 7:3.

ქართველები თავისი ლელოდანაც ხელდახელ უტევდნენ და თამამად თამაშობდნენ, თუმცა დაცვაში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, ტაიმის შუაში ხაზი სუფთად გაიჭრა და ფაკუნდო კორდერომ საპასუხო ლელო გაგვიტანა, ხოლო ლუკას მენსამ გარდასახა. თამაში რომ განახლდა გიორგი ჭყოიძე სინბინით დაისაჯა და არგენტინელებმა 5-მეტრა დერეფნიდან მეორე ლელო გაიტანეს – 7:15.

28-ე წუთზე აბჟანდაძემ ფინტებით ხაზი გაჭრა, მაგრამ ლელოდან 5 მეტრში შებოჭეს და ბურთი ვერც მიმყოლმა აიღო. პასუხად არგენტინამ 5-მეტრიანი დერეფნიდან მორიგი ლელო გაგვიტანა: მაშკო ვივასმა ბურთი მოიგო და მოულოდნელად თავადვე შეუტია, ხოლო არიასმა გარდასახა. ტაიმის ბოლოს არგენტინელებმა მაგრად შემოგვიტიეს და ხშირი ჯარიმისთვის რეფერიმ ტარიელ დონაძე სინბინში გაისტუმრა, თუმცა ლელო არ გავუშვით და ტაიმი 7:22 დავთმეთ.

მეორე ტაიმში მოედანზე სხვა საქართველო გავიდა – უფრო მობილიზებული. ჩვენებმა ცენტრში კარგი დაცვით მეტოქეს დაჯარიმება აიძულეს, აბჟანდაძემ ბურთი 5-მეტრიანთან ჩააგდო, დერეფნიდან რამდენიმე დარტყმის შემდეგ სუხაშვილმა სწრაფი ბურთი მიიღო, მბოჭავი აირიდა და ლელო გაიტანა, ხოლო თედომ გარდასახა. ქართველები შერკინებაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ჯარიმა რომ გამოიმუშავეს აბჟანდაძემ საშუალო დისტანციიდან გაიტანა 17:22.

მეორე ტაიმის შუაში ჩვენი კარგი შეტევის შემდეგ მეტოქე ისევ დაჯარიმდა და თედო ამჯერადაც ზუსტი იყო. რადგან აბჟანდაძეს დარტყმები წაუვიდა, 75-ე წუთზე ცენტრიდან, კარიდან ოდნავ მარცხნივ დაჰკრა და გაიტანა – 23:22.

დარჩენილი 5 წუთი საქართველომ თავის ნახევარზე გაატარა – ჯერ მეტოქის მწვავე შეტევა მოიგერია, მერე ბურთი შეინარჩუნა და 23:22 იმარჯვა.

მეორე ტაიმით კმაყოფილი დარჩა გუნდის მთავარი მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე:

– ბიჭებმა მოედანზე თავი დადეს და ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო. ასეთი თამაშის შემოტრიალება იოლი ნამდვილად არ იყო, მაგრამ გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღეს. დასაწყისი კარგი გვქონდა, თუმცა მას ჩავარდნა მოყვა, რითაც მოწინააღმდეგემ ისარგებლა და დიდი სხვაობით ჩამოვრჩით. შესვენებაზე ჩვენი შეცდომები გავაანალიზეთ, მეორე ტაიმში ბურთზე კონტროლი დავამყარეთ და ბიჭებმა საქართველოს სახელი დაიცვეს.

გიორგი შკინინი, კაპიტანი:

– ამ თამაშში ხასიათი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ვეცადეთ გვეთამაშა გაშლილი რაგბი და პირველ ტაიმში ჯარიმები კარში არ დავარტყით. მაგრამ უთამაშებლობა დაგვეტყო ვერაფერი მოვახერხეთ. ამაყი ვარ ამ ბიჭების, რადგან მეორე ტაიმში უპირატესობა დავიბრუნეთ და დიდი მადლობა მათ ასეთი სიამოვნებისთვის.

რასინგი-ბრაზილია 45:7

საფრანგეთის 6-გზის ჩემპიონმა და წლევანდელი ჩემპიონთა თასის ფინალისტმა რასინგმა ზაფხულის თასის პირველ მატჩში ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს 7 ლელო გაუტანეს და 45:7 დაამარცხეს.

მატჩის დებიუტში საიმონ ზიბომ ხაზი გაჭრა და ლელომდე ირბინა, ფინ რასელმა კი კიდიდან გარდასახა – 7:0. ბრაზილიამ კარგი შეტევით უპასუხა და ლელო-გარდასახვით წონასწორობა აღადგინა, თუმცა რასინგმა კლასის ხარჯზე უპირატესობა პირველსავე ტაიმში დაიბრუნა.

სენსას ჯონსთონის, იბრაჰიმ დიალოსა და რაფაელ ლაგარდის 3 ლელოდან რასელმა ორი გარდასახა და ტაიმი 26:7 დასრულდა.

ბრაზილია შერკინებაშიც ყოჩაღობდა და ხაზი მეორე ტაიმშიც რამდენჯერმე გაჭრა, თუმცა ლელოები კვლავ ფრანგებს გაჰქონდათ. თავი ისმაელ ჰამელმა, ხუან იმოფმა და ბენ ვოლავოლამ გამოიჩინეს.

რასინგმა პრემიაც აიღო და ტურნირის მოგების ფავორიტად იქცა. 3 აგვისტოს ფრანგები არგენტინას შეხვდებიან, ხოლო საქართველო ბრაზილიას ეთამაშება.

18 წლამდე ნაკრები ბ დივიზიონში ცუდად ირჯება

2 მარცხით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილი გუნდი ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ესტონეთს შეხვდა და 72:87 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებმა თამაში მეორე ნახევარში დათმო, პირველ ტაიმში კი მეტოქეს ტოლს არ უდებდა. საწყისი პერიოდი 20:20 დასრულდა, მეორე მეოთხედში ესტონელებმა 9-ქულიანი ლიდერობა კი მოიპოვეს, მაგრამ დიდ შესვენებამდე ქართველებმა 2 ქულამდე შეამცირეს.

მესამე პერიოდის მეორე წუთზე საქართველო 38:36 დაწინაურდა კიდეც. ესტონელებმა პრესინგს მიმართეს და დიდი უპირატესობაც მოიპოვეს. ბალტიისპირელებმა მონაკვეთი 14:3 მოიგეს და 50:40 გალიდერდნენ. ესტონელების ძირითადი იარაღი შორი სროლები იყო, რომელსაც ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს.

მე-3 პერიოდის ბოლოს საქართველომ ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა, თუმცა გადამწყვეტი მეოთხედის დასაწყისში ესტონელთა უპირატესობამ 18 ქულას მიაღწია და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, ბერიშვილის გუნდს წარმატების შანსი არ ჰქონია. ესტონელებმა მოხსნებში დაგვჯაბნეს – ჩვენებზე 16-ით მეტი ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოიხელთეს. ამასთან მეტოქის ფარზე 11-ით მეტი მოხსნა ჰქონდათ.

საქართველოს ნაკრებში 19 ქულით საუკეთესო იყო რატი ანდრონიკაშვილი.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი გუნდი მეორე მატჩში უნგრეთს შეხვდა და მატჩი 13 ქულის სხვაობით – 74:87 დათმო.

არადა, საქართველოს ნაკრები, რომ იტყვიან, მთელი მატჩის განმავლობაში თამაშში იყო და წარმატების შანსს ინარჩუნებდა. მატჩის დასრულებამდე 3,40 წუთით ადრე ქართველები მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებოდნენ (69:72), თუმცა გადამწყვეტ მომენტში ვერ იყოჩაღეს და შეხვედრა უიმედოდ დათმეს.

საქართველოს ნაკრებში 13 ქულითა და 9 მოხსნით ლაშა მიქელაძე გამოირჩა. 13 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა დავით კაკუშაძემ, ზურაბ ჟღენტის ანგარიშზე კი 11 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩში ავსტრიას დაუპირისპირდება.

ბასკონიაში 7 ქართველი იქნება

კლუბ ბასკონიის მფლობელ ესპანურ კორპორაცია სასკი ბასკონიასა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის თანამშრომლობა გრძელდება. ამ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, ესპანურმა მხარემ ის 7 ქართველი მოთამაშე დაასახელა, რომლებიც 2018-19 წლების სეზონს ესპანურ კლუბში გაატარებენ.

ესპანეთიდან გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, ბასკონიამ 3 ქართველი, რომლებიც გასულ სეზონშიც მათ კლუბში ვარჯიშობდნენ, ისევ დაიტოვა, ხოლო წელს თბილისში გამართული ერთობლივი კემპისა და მას მოყოლილი ბასკონიის გენერალური კემპის ფარგლებში კიდევ 4 ახალი კალათბურთელი შეარჩია.

შედეგად, 2018-19 წლების სეზონში ესპანეთში დარჩებიან: რატი ანდრონიკაშვილი, სანდრო კასაბური და საბა გიგიბერია, ხოლო მათ რიცხვს წლეულს შერჩეული პერსპექტიული ქართველი კალათბურთელები – გუგა ნაცვლიშვილი, ნიკა კიშკო, გიორგი ოჩხიკიძე და გეგა წულაია დაემატებიან.

პირველ ეტაპზე გადაწყვეტილი იყო, რომ მომავალი სეზონისთვის სასკი ბასკონია 3 ახალ ქართველ კალათბურთელს წაიყვანდა, თუმცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების საფუძველზე რაოდენობა 4-მდე გაიზარდა და საერთო ჯამში, 2018-19 წლების სეზონში ესპანურ კლუბში ზემოთ ნახსენები 7 კალათბურთელი გაატარებს.

ლონდონელთა სცენარი იტალიაში

არგენტინელი თავდამსხმელი გონსალო იგუაინი ტურინში ჩაფრინდა, რათა საკუთარ მომავალზე გადაწყვეტილება მიიღოს.

ფორვარდი ტურინული გუნდის დატოვებასთან ახლოს არის. შემტევის მიმართ ინტერესს ლონდონის ჩელსი და მილანი იჩენენ, თუმცა ბიანკონერებს მილანური ვარიანტი და ლეონარდო ბონუჩის ბარტერი უფრო ხიბლავთ.

დაახლოებით ანალოგიურია ლონდონელთა სცენარიც, თუმცა – მცირე ცვლილებებით: ლონდონელები იგუაინს მილანს დაუთმობენ, სანაცვლოდ კი კალდარარუგანის მიიღებენ.

ჩელსიმ ტურინის იუვენტუსს იტალიელი მცველის, მატია კალდარას შესახებ წინადადებით მიმართა.

აპენინური მედიის ინფორმაციით, ჩელსის დირექტორი მარინა გრანოვსკაია იტალიაში იმყოფება და ბიანკონერებთან კალდარასა და რუგანის თაობაზე მოლაპარაკებებს მართავს. ჩელსი მზად არის, რუგანის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო და პლუს ბონუსები გადაიხადოს, ხოლო ტურინელები 24 წლის უკანასკნელში 50 მილიონს ითხოვენ.

ლონდონელები ასევე მზად არიან, ორივე ცენტრალური მცველი გაიფორმონ, კალდარას თაობაზე კი სამკუთხედის შექმნა განიზრახეს. ლონდონელთა სცენარით, ბონუჩი ტურინში დაბრუნდება, ჩელსი იგუაინს მილანს დაუთმობს, სანაცვლოდ კი სახსრებს კალდარას შეძენას მოახმარს.

ხამესი ბაიერნში რჩება. ლევანდოვსკის წასვლა სურს



მიუნხენის ბაიერნის შემტევემა ნახევარმცველმა ხამეს როდრიგესმა თავის მომავალთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. ამ ზაფხულს უკვე ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ ხამესს მადრიდის რეალში დაბრუნება სურდა. ამ და სხვა ჭორებს, რომლებიც მის ირგვლივ ტრიალებდა, ხამესმა პასუხი გასცა და აღნიშნა, რომ ბაიერნში ბედნიერია.

როდრიგესი ახლა გუნდთან ერთად მაიამიში იმყოფება და მომდევნო სეზონისთვის ემზადება.

ხამეს როდრიგესი:

– ბევრი ჭორი გავრცელდა პრესაში ჩემს მომავალთან დაკავშირებით. მე ახლა აქ ვარ, მიუნხენში თავს კარგად ვგრძნობ, მე აქ ბედნიერი ვარ და ახლა მხოლოდ ბაიერნზე ვფიქრობ. ჩემი თავი მიუნხენში მომავალ წლებშიც წარმომიდგენია, ბაიერნი დიდი კლუბია. გასულ სეზონში მათ მე ნდობა გამომიცხადეს. მათთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს.

ხამესს ბაიერნთან აკავშირებს კონტრაქტი, რომელიც 2019 წლის 30 ივნისამდეა გათვლილი. ვადის ამოწურვის შემდეგ კი მიუნხენელებს აქვთ ხამესის გამოსყიდვის უფლება, რომელიც 42 მილიონს შეადგენს.

სამხრეთამერიკელს ბაიერნის რიგებში სულ 39 შეხვედრა აქვს ჩატარებული, კოლუმბიელმა 8 გოლი გაიტანა და 14 შედეგიანი გადაცემით გამოირჩა.

სამაგიეროდ, ბაიერნს რობერტ ლევანდოვსკის შენარჩუნება გაუჭირდება. გავრცელებული ინფორმაციით, პოლონელ თავდამსხმელს ბავარიული გრანდიდან წასვლა მყარად აქვს გადაწყვეტილი. როგორც გერმანული მედია წერს, ლევანდოვსკი უახლოეს მომავალში ბაიერნის მთავარ მწვრთნელ ნიკო კოვაჩს დაელაპარაკება და სთხოვს, ხელმძღვანელები დაარწმუნოს, რომ ტრანსფერი ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

29 წლის გოლეადორის მიზანი, პირველ რიგში, მადრიდის რეალია. მის შეძენაზე „სამეფო კლუბშიც“ სერიოზულად ფიქრობენ, თუმცა ლევანდოვსკი მანჩესტერ იუნაიტედსა და პარი სენ-ჟერმენსაც სურთ.

მართალია, „რეკორდმაისტერის“ გენერალურმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ და პრეზიდენტმა ული ჰაინესმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ლევანდოვსკის ტრანსფერი გამორიცხულია, მაგრამ, თუ ფეხბურთელს წასვლა სურს, მისთვის კლუბში დარჩენის დაძალებას აზრი არ აქვს. ეს, პირველ რიგში, რეკორდმაისტერის ბოსებმა ძალიან კარგად იციან.

ლევანდოვსკის მსოფლიოს ჩემპიონატის გამო „გახანგრძლივებული“ შვებულება ჰქონდა, ამიტომ გუნდს ამერიკაში არ ახლავს, მიუნხენშია და კოვაჩის ამერიკიდან ჩასვლს ელოდება, რათა დაელაპარაკოს.

კოვაჩისა და ლევანდოვსკის შეხვედრის შემდეგ ბევრი რამ გადაწყდება.

შედეგები

28 ივლისი

ფეხბურთი

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-ლე ავრი 0:0

ჩუსეთი. ჩემპიონატი

ურალი-ანჟი 0:1

სპარტაკი-ორენბურგი 1:0

როსტოვი-ახმატი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ციურიხი 0:2

ქსამაქსი-ბაზელი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-მატერბურგი 2:3

შტურმი-ჰარტბერგი 3:2

ბელგია. 1 დივიზიონი

კორტრაიკი-ანდერლეხტი 1:4

ვარეგემი-ბევერენი 2:2

სტ.ტრუიდენი-სერკლი 0:0

ოსტენდე-მუსკრონი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ოპავა-ზლინი 1:2

პრუიბრჟამი-ბოჰემიანსი 1905 ..... 4:2

სლოვაცკო-ბანიკი 2:1

სლავია-კარვინა 4:0

ჰოლონეთი. ექსტრაჯენასა

ზაგლებიე-სოსნოვეცი 2:1

კორონა-ლეგია 1:2

უკრაინა. ჩემპიონატი

ოლეკსანდრია-ზორია 1:0

ლვოვი-დინამო 0:1

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-ებიერგი 3:1

ესბიერგის გოლი

ლაშა პარუნაშვილმა გაიტანა

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ბრომაპოიკარნა 3:0

ესტერსუნდი-ელფსბორგი 1:0

დალკურდი-სირიუსი 1:3

მალმიო-ნორჩიოპინგი 2:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰონკა-ჰიკი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფოთის კოლხეთს ლობერტო ლანდი გაწვრთნის

გაგიკვირდებათ და საქართველოს ეროვნული ლიგის აუტსაიდერ ფოთის კოლხეთს იტალიელი გაწვრთნის. რობერტო ლანდი ქართული ფეხბურთისთვის უცხო არ არის, რადგან 1998-2000 წლებში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა, ასევე უმუშავია ლიტვისა და ყატარის 21 წლამდე ნაკრებებში, ლიბერიის ეროვნულ გუნდში, უნგრულ კლუბ შოპრონში, შოტლანდიურ ლივინგსტონში. 1990 და 1994 წლებში აშშ-ის ნაკრების მეკარეებს ამზადებდა, რადგან საფეხბურთო კარიერის დროს სწორედ ამ პოზიციაზე თამაშობდა.

რამდენიმე დღის წინ ფოთელთა მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილი დაინიშნა, მაგრამ ინფორმაციის დაწერა ვერ მოვასწარით, ისე გაუშვეს გუნდიდან, რადგან კოლხეთის გულშემატკივრებმა პროტესტი გამოხატეს ძოძუაშვილის დანიშვნის გამო. თურმე, საქმე ძველ წყენას ეხებოდა – დაახლოებით 30 წლის წინ, ძოძუაშვილსა და ფოთელ ქომაგთა შორის ინციდენტი მომხდარა.

ყენია ლუქსემბურგში წავიდა და ჭიჭულიც მოიგო

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი თუ ყოფილი ფეხბურთელი, ჯერ ვერ ვიტყვით, რადგან ლევან ყენია ჯერ მხოლოდ 27 წლის არის, ლუქსემბურგის დუდელანჟში თავის პირველ ტიტულს იგებს.

ლუქსემბურგის სუპერთასზე დუდელანჟმა 2:0 მოუგო რასინგს, ქართველმა კი ბოლო 17 წუთი ითამაშა. ყენია ახლახან გადავიდა ლუქსემბურგში და მატჩამდე მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა გუნდში.

ბოლო დროს გავრცელდა ცნობა, რომ თბილისის დინამოს შემტევი ოთარ კიტეიშვილი კარიერას ავსტრიულ შტურმში გააგრძელებდა. ეს ინფორმაცია თავად კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ გაავრცელა. თუმცა, ავსტრიიდან ჯერ არაფერი ისმის. არადა, შტურმი ევროთასებზეც ჩაერთო და ავსტრიის ჩემპიონატიც დაიწყო.

გიორგი აბურჯანიამ, შესაძლოა, უახლოეს დღეებში შეიცვალოს კლუბი. ბოლოს „სევილია ბ“-ში იყო, მაგრამ გუნდი სეგუნდა დივიზიონიდან გავარდა.

ლუგო“ – დიდი შანსია, ამ ესპანურ კლუბში გააგრძელოს კარიერა ქართველმა ნახევარმცველმა. „ლუგო“ სეგუნდა დივიზიონში მე-12 ადგილზე გავიდა.

ლუგო პატარა ქალაქია გალისიის პროვინციაში, ვიგოსა და ლა-კორუნიის მახლობლად. კლუბს არანაირი წარმატება არ ჰქონია. პრიმერა დივიზიონში არასოდეს უთამაშია და სეგუნდაშიც მხოლოდ 8 სეზონი აქვს გატარებული, თუმცა ამ ეტაპზე ცუდი გუნდი არაა.

აბურჯანიაზე ინფორმაციას ესპანური პრესა ავრცელებს. იქაური მედიის ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, გიორგი აბურჯანია, რომელიც სევილიის ახალგაზრდულ გუნდში ირიცხება, კლუბს დატოვებს. 23 წლის ნახევარმცველი სეგუნდა დივიზიონის ბინადარ ლუგოში ჩაირიცხება.

გეტყვით, რომ სევილია 2 2017-18 წლების სეზონის ბოლოს სეგუნდა დივიზიონს დაემშვიდობა, ხოლო ლუგო მე-12 ადგილზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ აბურჯანიას ესპანური კარიერა ხიმნასტიკიდან დაიწყო.

ტაპია ახალი ნაკრების აშენებას ისევ მესის ირგვლივ ფიქრობს

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლაუდიო ტაპიას აზრით, სამხრეთამერიკელთა სუპერვარსკვლავი, ლიონელ მესი, ნაკრებიდან არ წავა. როგორც თავად ამბობს, ფეხბურთელთან ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ არ უსაუბრია, მაგრამ დიდი იმედი აქვს.

კლაუდიო ტაპია:

– ჩვენ ერთმანეთს მეგობრობის დღე მივულოცეთ. ის დასასვენებლადაა წასული და სიამოვნებას იღებს თავის ოჯახთან ერთად. არ გვისაუბრია მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობ, მესის კვლავ სურს ნაკრებისთვის თამაში. საჭიროა, ის ჯერ მშვიდად ვამყოფოთ, დავიწყოთ ახალი გუნდის შენება, შემდეგ კი უკვე ყველაფერი ნათელი გახდება. მესის უყვარს ნაკრები. ის ძალიან იმედგაცრუებულია წარუმატებლობის გამო, მაგრამ აცნობიერებს, რომ არგენტინას სჭირდება. მესიმ ტურნირის დასრულების შემდეგ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, თუმცა ის ჩვენ, ყველას გვაკისრია გულშემატკივართან. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ის სუპერგმირია და არა – ადამიანი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელმა სიცხეს ვერ გაუძლო და სასწრაფო დახმარების მანქანა გაიტაცა

ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ მესას მცხოვრებმა სასწრაფო დახმარების მანქანა იმის გამო გაიტაცა, რომ სიცხეში ფეხით სიარული არ სურდა.

37 წლის ტოდ შელი საავადმყოფოდან გამოეწერა, ქუჩაში გამოსულმა კი ნახა, რომ გარეთ აუტანლად ცხელოდა. საავადმყოფოს მახლობლად სასწრაფო დახმარების ცარიელი მანქანა იდგა, რომელმაც ის-ის იყო ადგილზე ახალი ავადმყოფი მიიყვანა. სასწრაფოს თანამშრომლები ჩქარობდნენ და მანქანის საკეტიდან გასაღების გამოძრობა დაავიწყდათ. შელმა გადაწყვიტა, ამით ესარგებლა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

პოლიციამ გამტაცებელს ჯპს სიგნალის დახმარებით, რომლითაც მანქანა იყო აღჭურვილი, სწრაფად მიაგნო. დაპატიმრების შემდეგ შელმა განმარტა, რომ სახლში ფულისთვის მიდიოდა. მისი თქმით, ის სენდვიჩის ყიდვას, დანაყრებას და ამის შემდეგ მანქანის დაბრუნებას აპირებდა.

მამაკაცს სატრანსპორტო საშუალებით უკანონოდ სარგებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლისგან გაქცევის მცდელობის ბრალდება წაუყენეს. აღსანიშნავია, რომ მანქანის გატაცების დროისთვის ქალაქში ჰაერის ტემპერატურა 47 გრადუსს აღწევდა.

ხელზე გაკეთებულმა სვირინგმა ავადმყოფი ბავშვი გადაარჩინა

ჩინეთში პოლიციამ აღმოაჩინა დაკარგული ბავშვი, რომელსაც ხელზე დედის ტელეფონის ნომერი ჰქონდა ამოსვირინგებული.

ბიჭი ჩინეთის პროვინცია ჩუეცზიანის ქალაქების ვენჩუოუსა და ტაიჩუოუს დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე მიმავალი იპოვეს. მას ხელზე ორი მობილური ტელეფონის ნომრები ჰქონდა ამოსვირინგებული, თუმცა ერთ-ერთი გადახაზული იყო.

შემთხვევის თაობაზე შემდგარ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბიჭი სახლიდან რამდენიმე დღის წინ დაიკარგა. მან ვერ გასცა პასუხი კითხვაზე, თუ რა ერქვა და სად ცხოვრობდა. მაშინ ოფიცრები მიხვდნენ, რომ ბავშვს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა და სვირინგზე მითითებულ ნომერზე დარეკეს.

ზარს ბიჭის დედამ უპასუხა. ამის შემდეგ ის პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა და ბავშვი სახლში წაიყვანა. გაირკვა, რომ ბიჭი სახლიდან ღამით წავიდა, როდესაც მშობლებს ეძინათ. სავარაუდოდ, მან სახლისკენ მიმავალი გზა ვეღარ გაიხსენა და დაიკარგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხალხმა წყალში მყოფი ადამიანების გადასარჩენად ცოცხალი ჯაჭვი შეკრა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ემერალდ-აილში ათეულობით ადამიანი შეეცადა, მოცურავეები დახრჩობისგან გადაერჩინათ.

მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გავრცელებული გაფრთხილებისა სახიფათო მოქცევის თაობაზე, რამდენიმე ადამიანი მაინც შევიდა ზღვაში. მათ ტალღებთან და დინებასთან გამკლავება ვერ შეძლეს და იხრჩობოდნენ.

მრავალრიცხოვანმა დამსვენებლებმა ცოცხალი ჯაჭვი გააბეს პლაჟსა და მოცურავეებს შორის. ისინი ამგვარად ერთმანეთს იჭერდნენ, რათა დინებას რომელიმე მათგანი არ გაეტაცა. ისინი ასე შეეცადნენ, მიეღწიათ წყალში მყოფებამდე და ისინი ხმელეთზე ამოეყვანათ.

შედეგად, თითქმის ყველამ მოახერხა ნაპირზე გამოსვლა. მხოლოდ ერთი ადამიანი, 41 წლის მამაკაცი დაიღუპა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ადამიანებმა გაფრთხილება ყურად არ იღეს იმის გამო, რომ იმ დღეს კარგი ამინდი იდგა. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ პირველად გამოვიდა მზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი



1. ღია მრუდი; 2. კავშირი (გრამატ.); 3. საჭმელი სოკო; 4. წონის ძველებური ერთეული; 5. ... გარდნერი; 6. აზრი, ჩანაფიქრი; 7. არასრული დამბლა; 8. ამერიკული ფილმი-ფანტასტიკა; 9. გიორგი სააკაძის დასჯილი ვაჟი; 10. ... ბუკე; 11. ქალაქი ავსტრალიაში; 12. ვისიმე კეთილსინდისიერებაში დარწმუნება; 13. ქალაქი რუსეთში; 14. წყალსაღებავი; 15. ხასიათის თავისებურება; 16. სანელებელი; 17. ბუნებრივი საღებავი; 18. სანჩო ...; 19. პოლიტიკური გაერთიანება; 20. ტკბილი კარტოფილი; 21. წილი ბიზნესში; 22. ქალბატონი (ინგლისურად); 23. ლიტერატურული ხერხი; 24. ... ალიგიერი; 25. იუპიტერის თანამგზავრი; 26. ალგორითმული ენა; 27. გრ. რობაქიძის პიესა; 28. მექსიკელთა ღვთაება; 29. სიმღერის იტალიური მანერა; 30. საგრილობელი; 31. პატიმრის ოთახი; 32. სამკითხაო ქვიშა.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „ზარა“; 2. ტოკაი; 3. აკაბა; 4. ცეკვა; 5. ცეზარი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე. 10. „კრიმანჭული“; 11. სამეგრელო; 14. ქაჯაია; 15. ფაზისი; 16. განჯა.

თარაზულად: 1. ზოსტერა; 4. ცუცხვათი; 7. რიეკა; 9. „მარკა“; 12. გიურზა; 13. ონიმა; 14. ქოქოსი; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. რეალობა; 20. ჰაშიში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზოსტერა; 2. ხამურაბი; 3. ალტრუიზმი; 4. თარხანი; 5. ფარენგეიტი; 10. ბაგეტი; 11. ალავერდი; 12. ტორსიდა; 13. კურიოზი; 16. ავსტრალია; 17. ალკოჰოლი; 19. ისპახანი; 21. „პორტუ“; 23. კლიშე.

თარაზულად: 6. როინაშვილი; 7. „პალიტრა“; 8. „ფერარი“; 9. მურყვამი; 14. სუროგატი; 15. დარდანელი; 18. სიდრი; 20. პლუტოსი; 22. ციკლონი; 24. ნოველა; 25. კლარნეტი; 26. ბუშელი.

ასტროპროგნოზი 30 ივლისისთვის

ვერძი – სავარაუდოა კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. ახალი ინფორმაციის გამო გეგმები შეგეცვლებათ. **კურო** – ყურადღებით იყავით საყიდლებზე წასვლისას. მოტყუების ალბათობა დიდია. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. **ტყუპები** – ახალი ნაცნობობაც და ძველი კავშირების აღდგენაც სასიკეთო იქნება. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **კირჩხიბი** – საოჯახო საქმეებს იოლად აგვარებთ. მოულოდნელი ახალი ამბავი გაგახარებთ. **ლომი** – სტუმრად წასვლა, ასევე საქმიანი შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს შინ დარჩენა და განმარტოება გიჯობთ. **ქალწული** – გარშემომყოფებს თქვენს აზრებს ნუ შემოახვევთ. აგრესიულობა და თავშეუკავებლობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **სასწორი** – შემოსავალიც და გასავალიც თანაბრად იზრდება. საკმაოდ წინააღმდეგობრივი, რთული დღეა. **ღრიანკალი** – მოვლენები სწრაფად იცვლება. ცხოვრებას ფეხი აუწყვეთ. მიიღეთ საჭირო ინფორმაცია. **მშვილდოსანი** – თქვენი კომუნიკაბელურობა, ადამიანებისადმი გულწრფელი დამოკიდებულება შემოსავლის ახალ წყაროს გაპოვნინებთ. მშვიდი დღეა. **თხის რქა** – ახალი გატაცება, მსუბუქი ფლირტი გაგახალისებთ. ენერგიულად და შემართებით ხართ. **ვერცხელი** – ინტიმურ ურთიერთობებში გიმართლებთ. საპირისპირო სქესს მარტივად მოხიბლავთ. ყურადღებით იყავით დოკუმენტებზე ხელმოწერისას. **თევზები** – იშრომეთ, ისწავლეთ. შედეგით კმაყოფილი დარჩებით. გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ბექა გოჩიაშვილი მიუნხენში ტერორისტულ აქტს გადაურჩა

მუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი, რომელიც მსოფლიოს გარშემო საკონცერტო ტურნეთი მოგზაურობს, მიუნხენში ტერორისტულ აქტს გადაურჩა:

– მიუნხენის აეროპორტში გავიჭედეთ, მიზეზი ბომბის პოვნა და ტერორისტის დაჭერაა. დიდი ხნის შემდეგ გახსნეს ჩექ ინი, ბომბის აეროპორტიდან გატანის შემდეგ. იმედია, მოვახერხებთ გაფრენას და ამ ტურის ბოლო კონცერტის დაკვრას, რისიც მჯერა, რო ნაღდად მოხდება,?რომელიც საფრანგეთშია. ხალხი წყნარად არის, პანიკა დაწყნარდა.

მადლობა მიუნხენის პოლიციას დროული და აქტიური მუშაობისთვის.

დონალდ ტრამპმა ნუგზარ შარია იერუსალიმში ზეიმზე მიიწვია

ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმის სრულიად ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად საზეიმო გამოცხადებასთან დაკავშირებით ზეიმზე დასასწრებად მიიწვია ისრაელის საპატიო მოქალაქე და იერუსალიმის დროშის ერთადერთი მფლობელი, მართლმადიდებელი ქართველი ნუგზარ შარია.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობის შვილმა ზურა შარიამ გაავრცელა:

– აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სრულიად ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად საზეიმო გამოცხადებასთან დაკავშირებით ზეიმზე დასასწრებად მიიწვია ისრაელის საპატიო მოქალაქე და იერუსალიმის დროშის ერთადერთი მფლობელი, მართლმადიდებელი ქართველი ნუგზარ შარია.

ვინაიდან ნუგზარ შარია იმყოფებოდა და იმყოფება კიბოს დაავადების საწინააღმდეგო პროცედურებში, სრულიად ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად გამოცხადების ზეიმს მიმართა სპეციალური განცხადებით:

„მე, როგორც განმანათლებელი წმინდა ნინოს ერის შვილი, ვულოცავ არა მარტო ისრაელს, არამედ მთელ გარე სამყაროს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ გამოცხადებულ განცხადებას სრულიად ისრაელის დედაქალაქად საზეიმო გადაწყვეტილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2 ათას 600 წელზე ზევით ქართველმა ერმა, როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი, შეისისხლხორცა ებრაელი ქართველობა, რომ ქართველმა ერმა მსოფლიოს დაანახა, რომ იგი მაღლა იდგა და დგას ყოველგვარ ანტისემიტიზმზე მთელი მსოფლიოს წინაშე“.

აჩიკო ნიჟარაძე: „ოკუპირებული ტერიტორიიდან აფხაზური ნომრებით მანქანებს რატომ ვუშვებთ?“

კითხულობს მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე და შესაბამისი უწყებისგან დასმულ კითხვაზე პასუხს ითხოვს:

– ოკუპირებული ტერიტორიიდან აფხაზური ნომრებით მანქანებს რატომ ვუშვებთ? თუ აფხაზურ პასპორტს არ ვაღიარებთ, თუ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ ვაღიარებთ, მათი მთავრობის მიერ გაცემული ნომრებით რატომ ვუშვებთ მანქანებს, ვინმემ აგვიხსნას. ქართული ნომრებით აფხაზეთში ვინმეს უშვებენ? არაღიარებული რესპუბლიკის გაცემული ნომრებით მანქანის საზღვარზე შემოშვება დიპლომატიაა თუ დაჩმორებულის პოზაში ყოფნა?

ჯგუფი „სახე“ 20 წლის იუბილეს ბლექ სი არენაზე აღნიშნავს

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის შემდეგ ჯგუფი „სახე“ 20 წლის იუბილეს ბლექ სი არენაზე აღნიშნავს.

იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი 24 აგვისტოს გაიმართება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება.

პოპულარულ ჯგუფს წელს დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. სპეციალურად „ბლექ სი არენას“ გრანდიოზული კონცერტისთვის შეიქმნა „სახის“ ბენდი, რეპერტუარს კი ემატება 10 ახალი სიმღერა, რომლებიც უკვე ჩაწერის პროცესშია. კონცერტის სპეციალური სტუმარი იქნება ჯგუფ პოეთრი ენდ მოუშენის წევრი მაიკლ უილიამსი, რომელთან ერთადაც „სახემ“ „ჩემო თბილის-ქალაქოს“ ახალი ვერსია ჩაწერა. მასთან ერთად კიდევ ორი ახალი სიმღერა შესრულდება. დამსწრე საზოგადოება კონცერტზე, ახალ სიმღერებთან ერთად, ყველა ნაცნობ კომპოზიციასაც მოისმენს „სახის“ შემოქმედებიდან.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ჯგუფი „სახე“ დათო ხუჯაძის, დათო ფორჩხიძისა და ბორიკო შხიანის შემადგენლობით, მუსიკოსების ბენდი, მოცეკვავეების ჯგუფი და სტუდია „სახის“ მოსწავლეები. საიუბილეო კონცერტს მხატვრულად თამარ ფოცხიშვილი გააფორმებს.

აღმოჩენა დოლოჭოპის დიდ სატაძრო კომპლექსზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ბახტაძემ დოლოჭოპის დიდ სატაძრო კომპლექსზე უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთა:

– აი, მე-7 გათხრითი სეზონიც მიილია დოლოჭოპის დიდ სატაძრო კომპლექსზე. მოგმართავთ მათ, ვისაც გჯერათ ჩვენი: გაგახაროთ? მართალია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წელს ჩვენივე „საუკუნის აღმოჩენაზე“ მხოლოდ გარკვეულ ფართობებზე მიგვიშვა და ისიც „ზედამხედველების“ სტატუსით, მხოლოდ თვე-ნახევრით; მართალია, ამ უწყებამ შარშან თავისივე ჩატარებული კონკურსის შედეგები გააუქმა და არქეოლოგიური გათხრები ამ მართლაცდა უნიკალურ ძეგლზე შეგნებულად არ დაგვიფინანსა ღიმილისმომგვრელი მიზეზით – თქვენივე პირმშოს კონსერვაციას უშლითო ხელს და ასე შემდეგ...

მიუხედავად ამისა, წარმატება ამჯერადაც თან გვდევდა და, ჩემის აზრით, იცით, რატომ, ახალგაზრდებო? მავან არქეოლოგთაგან განსხვავებით, ჩვენ ხელის ცეცებით ან სულაც „ნიჩბის ხმაურის გულისთვის“ არ ვმუშაობთ. ჩვენ, ჯერ ერთი, თავიდანვე ვიცოდით, რას ვეძიებდით ნეკრესის ნაქალაქარზე ამ ძეგლის სახით და მეორეც, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველ კონკრეტულ სეზონშიც კონკრეტულად მოველით, რისი დასაბუთება თუ უარყოფა გვინდა ამჯერად...

აი, თუნდაც უკანასკნელი აღმოჩენა განვიხილოთ: ბოლო წლებში მუდამ გვინდოდა გაგვეგო, IV-V საუკუნეთა მიჯნის ამ ერთ-ერთ პირველ ქართულ საკათედრო ტაძარში მხოლოდ საეკლესიო იერარქები იმარხებოდნენ, ზოგიერთი, შემართული, მაკურთხებელი მარჯვენითაც კი, თუ ეკლესიის რომელიმე ნაწილი საერო დიდგვაროვანთაც ჰქონდათ დათმობილი საძვალედ.

და აი, სამხრეთის გალერეაში, ასეთ აკლდამათა წყების არსებობის პირველი დასტურიც აღმოჩნდა და, მერე რა საოცარი მინიშნებით ეპოქათა მიჯნაზე – ქვაყუთში აღმოჩნდა ყმაწვილი, დიდი ალბათობით, სამკაულისდა მიხედვითაც არისტოკრატული ოჯახის წევრი ქალის ცხედარი, რომელიც... ჯერ კიდევ წარმართული წესით, მარცხენა გვერდზეა დაკრძალული ქრისტიანულ საკათედრო ტაძარში. სამარხი V საუკუნისაა და მრავალი კითხვაც გააჩინა: ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთში, ქალები აქაც ჯიუტად, ჯერ კიდევ ტრადიციულად იმარხებოდნენ? მაშინ ხომ ჯერ კიდევ აკრძალული იყო ჩვილების მონათვლა და ვითომ მონათვლამდე გარდაიცვალა? ან იქნებ ცოტა დაუჯერებლად კი გვეჩვენება, ამ პროვინციაში ჯერ კიდევ კომპრომისულ წესს მისდევდნენ და საერთოდ არ იყო მკაცრ წესად დადგენილი მიცვალებულთა გაშოტილად დაკრძალვა...

ამ კითხვებზე პასუხს გაისად, ამავე გალერეის სხვა დიდგვაროვანთა აკლდამების გახსნის შედეგად მივიღებთ. და კიდევ: 2 წელია, რაც IV-V საუკუნეთა მიჯნის, სტრატიგრაფიული ანალიზითა და რადიოკარბონული დათარიღებით დადასტურებული სულ ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ამ ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან, ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერიანი ანტეფიქსები აღმოჩნდა. ბუნებრივია, ეს მოვლენა მაშინვე შევატყობინეთ ქართველ საზოგადოებრიობასაც და კულტურის სამინისტროს სისტემასაც.

და, მიუხედავად ამისა, შარშან და წელს ამ უბანზე ჯიუტად არ გვაძლევენ გათხრების გაგრძელების უფლებას... რა ვუწოდოთ ამას, ჯიბრი თუ პრობლემის მნიშვნელობის ვერშეფასება?

დათო გომართელი ბათუმში ხმაურმა შეაწუხა



მომღერალი დათო გომართელი დასასვენებლად ბათუმში იმყოფება, თუმცა ხმაურმა იმდენად შეაწუხა, რომ ღამის ცხოვრების არასწორ მენეჯმენტს აპროტესტებს:

– ალბათ ისეთ საკურორტო და ტურისტულ ქალაქებში, რეგიონებში, როგორებიც ბათუმი, ბაკურიანი, გუდაური თუ სხვა ადგილებია, სათავეში უნდა დანიშნონ არა ადგილობრივი კადრები, არამედ ადამიანები, რომლებიც ერკვევიან საკურორტო რეგულაციებშსა და თანამედროვე ცხოვრებაში.

წარმოუდგენელია, ამ არქიტექტურული შენობებით, გასართობი ადგილების არქონითა და ღამის ცხოვრების არასწორი მენეჯმენტით მივაღწიოთ იმ დონის ტურისტულ ქვეყნებს, როგორებიც იტალია, საფრანგეთი, თურქეთი თუ საბერძნეთია.

ღამე ბათუმში 5 საათამდე ვერ დავიძინე, სანამ არ დაიკეტა უკრაინული ღამის კლუბი ბულვარზე.

ანტონ რუბინშტეინის ოპერა „დემონებში“ ანსამბლმა „ფესვებმა“ იცეკვა

მსოფლიოში აღიარებული კომპოზიტორის ანტონ რუბინშტეინის ოპერა „დემონებში“ ბრძოლისა და ქორწილის სცენებში ანსამბლმა „ფესვებმა“ იცეკვა.

სამმოქმედებიანი ოპერა ნიუ იორკის ორკესტრმა შეასრულა და მას ბარდ კოლეჯის პრეზიდენტმა ლეონ ბოტსტეინმა უდირიჟორა. საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობდნენ წამყვანი სოლისტები და გუნდი მანჰეტენიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. რუბინშტეინის ოპერის ნახვა მაყურებელს აგვისტოს პირველ რიცხვებშიც შეეძლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბიოლოგი ნიანგის ყბებისგან საკუთარმა თავშეკავებამ გადაარჩინა

ზღვის ბიოლოგმა მელისა კრისტინა მარკესმა განმარტა, თუ როგორ მოახერხა ნიანგის ყბებისგან თავის დაღწევა. მისი ნაამბობი ერთ-ერთმა სამეცნიერო გამოცემამ გამოაქვეყნა.

მტაცებელი რეპტილიის თავდასხმა აპრილში მოხდა, როდესაც ის კარიბის ზღვაში, ხარდინეს-დე-ლა-რეინის არქიპელაგში ზვიგენებზე დოკუმენტურ ფილმს იღებდა. სამმეტრიანმა რეპტილიამ მას პირი აკვალანგით ღამის ჩაყვინთვის დროს ფეხში სტაცა.

ქალმა იგრძნო, რომ რაღაც მარცხენა ფეხზე მუხლს ქვევით უჭერდა და ცდილობდა, ნაპირიდან შორს გაეთრია. ეს მხოლოდ ნიანგი შეიძლება ყოფილიყო.

– ჩემთვის რაღაცები ცნობილია იმის შესახებ, თუ როგორ ნადირობენ ისინი, ამიტომ მაშინვე გავიფიქრე, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეტოკებინა ფეხი, – იხსენებს მარკესი.

მან იცოდა, რომ ასეთ ვითარებაში პანიკა სიკვდილის ნიშნავს. მტაცებელი მას სიბნელისკენ მიათრევდა, ის კი თავისთვის მსჯელობდა: „კარგი, იმედი ვიქონიოთ, რომ ჰიდროკოსტიუმი სისხლს გარეთ გამოჟონვის საშუალებას არ მისცემს და ის მას ვერ იყნოსავს, არ იქნება ხორცის გემო, პირდაპირ ვთქვათ, ჩემი ფეხის. ის მხოლოდ ნეოპრენის გემოს იგრძნობს და ამის შემდეგ თავს დამანებებს.

ის ტკივილს ვერ გრძნობდა, ვინაიდან ნიანგის კბილებმა ჰიდროკოსტიუმში ვერ შეაღწია. მარკესი შეეცადა, ფსკერზე ქვა მოესინჯა ხელით, მაგრამ ხელში არაფერი მოხვდა. მას დამაგრებული ჰქონდა მიკროფონი, რომელიც გადაღებისთვის იყო განკუთვნილი.

– ეი, მე მიკბინეს და მიმათრევენ, – ჩასძახა მარკესმა მოწყობილობაში. იმწამსვე ნიანგმა ყბები გახსნა. ქალს მიზეზის გარკვევა არ დაუწყია, ჰაერი საცურაოს კომპენსატორში შეუშვა და ტყვიასავით აიჭრა წყლის ზედაპირზე.

როდესაც მარკესი წყლიდან ამოვიდა, ექიმმა გასინჯა. მას ფეხზე არა მხოლოდ ორი ღრმა ნაკბილარი ეტყობოდა, არამედ ნიანგის ორი ყბის მთლიანი ანაბეჭდი ჰქონდა მუხლს ქვემოთ. ზოგიერთი ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. ქალს ანტიბიოტიკები მისცეს და ჭრილობების დაუმუშავეს.

– ეს თვით კბენაზე უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, – განაცხადა მარკესმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4490

ევრო — 2.8479

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2072

100 რუსული რუბლი — 3.8874

ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის



დიდმა თეთრმა ზვიგენმა ვეშაპი შეჭამა

ტურისტული ხომალდის გუნდის წევრმა ვიდეოზე გადაიღო დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც მკვდარმა რუხმა ვეშაპმა მიიზიდა.

მტაცებელ თევზთან შეხვედრა ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-კლემენტეს სანაპიროდან კილომეტრნახევარში მოხდა. ზვიგენის სიგრძე, სავარაუდოდ, ხუთ მეტრს აღწევდა.

– ვერასოდეს გაიგებ, რას ნახავ ზღვაში, – დაწერა კომენტარში ფეისბუქში გამოქვეყნებული ვიდეოს ავტორმა.

აღსანიშნავია, რომ დიდი თეთრი ზვიგენი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტაცებელი თევზია. ამ სახეობის წარმომადგენლები სიგრძეში საშუალოდ 4,6-4,8 მეტრამდე აღწევენ. დიდ იშვიათობას წარმოადგენს 6 მეტრის სიგრძის ზვიგენი. ეს სახეობა ადამიანისთვის ერთ-ერთ ყველაზე საშიშად არის მიჩნეული.

ყოფილმა ქმარმა ცოლს ალიმენტის გადასახდელად 70 კილოგრამი ხურდა ფული მიუტანა

ინდოეთის ქალაქ ჩანდიგარხის მკვიდრმა ქალბატონმა თავის ყოფილ მეუღლეს სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ მან ალიმენტი ხურდა ფულით გადაიხადა.

შეძლებულმა ადვოკატმა განქორწინებაზე განცხადება 2014 წელს შეიტანა. სასამართლომ მას ყოველთვიურად ქალისთვის 25 ათასი რუპიის გადახდა დააკისრა.

კაცი ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და საქმე ზემდგომ ინსტანციაში გაგრძელდა. საბოლოოდ ის დანებდა. ყოფილმა მეუღლემ ალიმენტის სახით ოთხი ცალი ასი რუპიის ბანკნოტები და 24,6 ათასი რუპიის ერთ და ორ რუპიიანის მონეტები მიიღო. ხურდა ფულის საერთო წონა 70 კილოგრამს აღემატებოდა.

ქალმა განაცხადა, რომ ყოფილი ქმარი განგებ იქცევა ასე, რათა ის აწვალოს. ამის პასუხად მამაკაცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას კანონი არ დაურღვევია, ვინაიდან არსადაა მითითებული, თუ როგორი სახით უნდა მოხდეს ალიმენტის თანხის გადახდა.

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონა ნიგერიაში იპოვეს

ბრიტანეთის მედიამ და ინსტაგრამის მომხმარებლებმა ხუთი წლის ნიგერიელი ბავშვი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ გოგონად აღიარეს.

გოგონას, სახელად ჯეირის ფოტოსურათები საკუთარ აკაუნტში ფოტოგრაფმა მოფე ბამაივამ გააზიარა.

– დიახ, ის ადამიანია, მაგრამ ანგელოზიც, – დაწერა ბამაივამ ფოტოსურათების კომენტარში. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად სამოდელო გამოცდილების არქონისა, ჯეირის თავი მშვენივრად ეჭირა და კამერის საერთოდ არ შეშინებია.

ბამაივას თქმით, გოგონას ორი და ჰყავს, ორივე ლამაზი სახისა და მტკიცე ხასიათის. ამ ყოველივემ კი მათ დედას მათთვის ინსტაგრამში პროფილის გახსნისკენ უბიძგა.

რამდენიმე დღეში ფოტოსურათებმა ათასობით მოწონება მიიღო, ხოლო თაყვანისმცემლებმა გოგონას თავიანთ კომენტარებში „უბრალოდ, ღვთაებრივი“, „საოცრად ლამაზი“ და „აბსოლუტურად განუმეორებელი“ უწოდეს. თუმცა კრიტიკოსებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ფოტოგრაფს ფოტორედაქტორით სარგებლობა და გოგონასთვის პარიკის გაკეთება დასდეს ბრალად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

პოლიცია მოსახლეობას ურჩევს:

– თუ ბანდიტი გარედან თქვენს კარს ამტვრევს, თქვენ კარის მტვრევა შიგნიდან დაიწყეთ. ეს ბოროტმოქმედს საგონებელში ჩააგდებს.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– მე მამაკაცებში ტვინი უფრო მომწონს, ვიდრე სხეული.

კაცი პასუხობს:

– სწორია! სხეული ასაკის მატებასთან ერთად მომჩვარდება, ტვინის ბურღვა კი სიკვდილამდე შეიძლება.

●●●

დიდი ხნის ცოლ-ქმარი სექსითაა დაკავებული. უცბად ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, მაპატიე! მგონი, გატკინე!

– არა, საიდან მოიტანე?

– მომეჩვენა, რომ გატოკდი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გეყოფა ტელევიზორის ყურება. მანდ სიმართლეს მაინც არავინ ამბობს. მხოლოდ ინტერნეტიდან შეიძლება სიმართლის გაგება.

– ჰო, რა თქმა უნდა და თანაც შეგიძლია აირჩიო, თუ რომელი სიმართლე გინდა დაიჯერო.

●●●

სამი მეგობარი ზის და სვამს. ერთი ამბობს:

– ჩემი ცოლის კატას პენოპლასტს ვეძახი.

– რატომ?

– რამდენჯერ ვცადე მისი წყალში ჩაძირვა, მაგრამ მაინც არ იძირება.

– ჩვენს კატას კი ბუმერანგს ვეძახი, – ამბობს მეორე, – სად არ წავიყვანე, მაგრამ მაინც სახლში ბრუნდება.

– ჩვენსას კი ჯორდანო ბრუნო დავარქვი, – ამბობს მესამე.

– რა სადისტი ხარ!

– არა, რას ამბობთ, უბრალოდ, ვარსკვლავების ყურება უყვარს.

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– სულელებთან კამათი არ ღირს.

– კი მაგრამ, ზოგჯერ, უბრალოდ, ადამიანს საკუთარი აზრი უნდა განუმარტო! გესმის? განუმარტო!

– კარგით, არ გეკამათებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჰამბურგში გერმანიის ღია პირველობა მოიგო

ნიკოლოზ ბასილაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გახდა პირველი ქართველი ჩოგბურთელი, რომელმაც ატპ 500-ქულიანი კატეგორიის ტურნირი მოიგო. ნიკამ გერმანიის ღია პირველობის ფინალში არგენტინელი ლეონარდო მაიერი 6:4, 0:6, 7:5 დაამარცხა.

ამ დროისთვის ნიკა ლაივ-რეიტინგის 35-ე ადგილზეა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი ირაკლი ლაბაძეს ჰქონდა, რომელიც 42-ე პოზიციაზე იყო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, პირველი სეტის სტარტი ნიკას არ გამოუვიდა. პირველი ჩაწოდება არ გადიოდა და გეიმის მოგება ძალიან გაუჭირდა, თუმცა 1:1-ზე ბრეიკი შეასრულა, რომელიც სეტის მოსაგებად გადამწყვეტი აღმოჩნდა. პირველ სეტში ლეონარდო მაიერი ნიკას წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ქართველმა მეტოქე გათამაშებებში დაჯაბნა.



მეორე სეტის სტარტზე ნიკას ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა და თითქოს ამ მომენტის მერე გატყდა და აღარ უბრძოლია.

გადამწყვეტი მესამე სეტი ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. მაიერი კარგად აწვდიდა და აშკარა იყო, რომ ნიკოლოზს ბრეიკის გაკეთება გაუჭირდებოდა. ნიკაც თავის ჩაწოდებას კარგად თამაშობდა.

გადამწყვეტი 5:5-ზე ბასილაშვილის ბრეიკი აღმოჩნდა. 6:5-ზე ქართველმა ჩოგბურთელმა ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და მძიმე ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა.

ნიკა ამ გამარჯვებით 500 სარეიტინგო ქულასა და 349.200 ევროს მიიღებს.

ამერიკაში მანქანა მოულოდნელად წარმოქმნილ ორმოში ჩავარდა

აშშ-ში ყველგანმავალი მოულოდნელად მიწისქვეშ აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი კოლოდაროს შტატის ქალაქ შერიდანში მოხდა. ტოიოტა რავ4-ს მარკის ავტომობილი 4,5 მეტრი სიღრმის ორმოში ჩავარდა და პრაქტიკულად ბოლომდე წყალში ჩაიძირა. მძღოლმა ეშლი მერიშმა, საბედნიეროდ, მანქანიდან ამოძრომა მანამდე მოასწრო, სანამ ის წყლით აივსებოდა.

ვიდეორგოლი შემთხვევითმა გამვლელმა ტაი ადამსმა გადაიღო.

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სამსახურისკენ მიმავალ გზაზე იმის თვითმხილველი გავხდებოდი, თუ როგორ ჩავარდებოდა მანქანა მიწის სიღრმეში. ეს აბსურდია. 40 ათასი დოლარი ქარმა წაიღო, ალბათ მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ, – განუცხადა ჟურნალისტებს შემთხვევის თვითმხილველმა.

მერიშმა აღიარა, რომ შოკის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ მოვიდა გონს.

– ემოციებით ვარ აღსავსე და ვერ ვმშვიდდები, თუმცა, ამავე დროს, თავს მეტად იღბლიანად ვთვლი და მადლობას ვუხდი ჩემს მფარველ ანგელოზს იმისთვის, რომ მანქანიდან თავის დაღწევაში დამეხმარა, – განაცხადა ავტომობილის პატრონმა.

წინასწარი მონაცემებით, შემთხვევის მიზეზი რეგიონში ძლიერი წვიმები გახდა. ამის გამო მილი, რომელიც გზის ქვეშ გადიოდა, გაიბზარა, ხოლო წყალმა ნიადაგი გამორეცხა.

– წვიმის დროს ნახევარ საათში 63 მილიმეტრი ნალექი მოვიდა. ამის გამო მილმა 1,7 ატმოსფეროს წნევის დაწოლა განიცადა. მილი ასეთ დატვირთვაზე გაანგარიშებული არ ყოფილა, – განაცხადა ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



თარაზულად: 4. ძვირფასი ნივთების შესანახი ყუთი; 6. გვამის დაწვა; 8. გაიდეალება; 10. სურნელება; 11. სამეურნეო იარაღი; 12. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 14. ავადმყოფური მისწრაფება რაიმესადმი; 17. აზელილი კარტოფილი; 19. ბამბის ნაქსოვი ბადურა; 20. ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში; 21. ბერძნული ანბანის ასო; 22. სულიერი განწმენდა; 23. მამაკაცის საჩიხიანი ქუდი.

შვეულად: 1. მიწის დონეზე დაბლა მდებარე შენობის ნაწილი; 2. აკლდამა, სამლოცველო; 3. ლითონის ფული თურქეთში; 5. ობობის ქსელი; 7. არამშობლიური მხარე; 9. ქუჩების რთული, დახლართული განლაგება; 13. ქალის დილის ხალათი; 15. მაგარმერქნიანი ხე; 16. რამე საგნის შემცირებული ნიმუში; 18. გამის პირველი ძირითადი ბგერა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ